# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 24 ივლისი, 2012 წელი.

№139 (7015)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# დამოქლეს მახვილი

ერს უტევს მტაცებლად ქცეული შინაური და ცხვრის ტყავმოსხმული გარეული. შეთანხმებული მოქმედებით საქართველო ჩააყენეს იმ ქვეყანათა რიგში, რომელთაც ბოლომდე არა აქვთ თავი დაღწეული შემგროვებლობის პრიმიტიული ფორმებისაგან. არ აქვს კულტურული ცხოვრების ელემენტარული ტრადიციები. მათი აზრით, ვდგავართ გამოქვაბულის კარებთან და ცივილიზებული სამყაროს გავლილი ათასწლეულები უმოკლეს ვადებში უნდა გავიაროთ.



5

# ბიძინა ივანიშვილის განცხადება



## სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად გადავრიცხავ იმდენ თანხას, რამდენიც საჭირო გახდება

„ძალიან განვიცდი იმ უბედურებას, რომელიც სტიქიის შედეგად თავს დაატყდა კახეთს, მცხეთა-მთიანეთს, სამცხე-ჯავახეთს და სხვა რეგიონებს. ასეთ დროს ხელისუფლების და თითოეული ჩვენგანის ვალია, თანადგომის და სოლიდარობის ხელი გავუწოდოთ განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანებს.

პრეზიდენტი და მთავრობა, რომლებმაც უაზროდ გაფლანგეს ამგვარი ვითარებისთვის შექმნილი 100-მილიონიანი სარეზერვო ფონდები, გეგმავენ, მიყენებული ზარალის მხოლოდ ნაწილობრივ კომპენსაციას და სრულად დაკარგული მოსავლისათვის მაქსიმუმ 1500 ლარის გამოყოფას. ეს მაშინ, როდესაც ყოველი ოჯახისთვის სტიქიით მიყენებული ზარალი ხშირად რამდენჯერმე აღემატება ამ თანხას.

ყველასთვის კარგად ცნობილი გარემოების გამო, მე არ მაქვს შესაძლებლობა, პირადად დავეხმარო სტიქიური უბედურებით დაზარალებულ ათასობით ადამიანს — ხელისუფლება მედიკამენტების მიწოდებასაც კი ამომრჩევლის მოსყიდვად ჩამითვლის. ამასთანავე, ხელისუფლებამ მე სრულიად უკანონოდ დამაკისრა ათეულობით მილიონი ლარის გადახდა ბიუჯეტის სასარგებლოდ და ასევე, უკანონო გზებით ცდილობს სხვისი ქონების ხარჯზე ამ თანხის ამოღებას.

შექმნილ ვითარებაში მივიღე გადაწყვეტილება და ამ ეტაპზე 10 მილიონ ლარს ვრიცხავ სასამართლოს მიერ მითითებულ საბიუჯეტო ანგარიშზე. სტიქიით მიყენებული ზარალის სრულად დათვლის შემდეგ ბიუჯეტში ამავე მექანიზმის გამოყენებით გადავრიცხავ იმდენ თანხას, რამდენიც საჭირო გახდება.

შედეგად, მთავრობას უჩნდება ბიუჯეტით დაუგეგმავი დამატებითი სახსრები, რომლითაც მას შეუძლია, ყოველ ოჯახს სრულად აუნაზღაუროს მიყენებული ზარალი, იქნება ეს დაკარგული მოსავალი, დახოცილი პირუტყვი თუ დაზიანებული კარმიდამო.

იმისათვის, რომ მთავრობამ საბიუჯეტო სახსრებით დროული, სამართლიანი და ეფექტური დახმარება აღმოუჩინოს სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს, საჭირო იქნება საზოგადოებრივი მონიტორინგის დაწესება თითოეული ოჯახისთვის მიყენებული ზარალის ობიექტურ შეფასებასა და მის დროულ და სრულ ანაზღაურებაზე.

# ხელისუფლება ცდილობს, რომ ოპოზიცია კანონის ფარგლებს გარეთ გაიტყუოს

3

# ბიუჯეტი — არჩევნებისთვის და არჩევნები — ხელისუფლებისთვის, რომელსაც მოქალაქე ვერ აირჩევს



6

# სარფიანი ვაჭრობა



7

## ბრიფინგი

**„ბიძინა ივანიშვილი სტიქიისგან მიყენებულ ზარალს სრულად დაფარავს“, — განაცხადა ტრადიციულ ბრიფინგზე „ქართული ოცნების“ პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ. მანვე დასძინა, რომ აუცილებელია მონიტორინგის დაწესება, თუ როგორ აანაზღაურებს ზარალს ხელისუფლება. სარეზერვო ფონდები მთლიანად ცარიელია, რის გამოც ხელისუფლება ბიუჯეტში ცვლილებებს ახორციელებს.**

„ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებამ უკანონოდ დააჯარიმა და ჯარიმის სახით რამდენიმე მილიონის გადახდა მოსთხოვა. ამ ჯარიმას ჩვენ არ ვცნობთ, რადგან უკანონოა. ამ დროს მოხდა სტიქიური უბედურება კახეთში. ახლა ბიძინა ივანიშვილს ხალხის დახმარების სურვილი გაუჩნდა, თუნდაც იმის გამო, რომ „ქართული ოცნებისთვის“ ცნობილია, რომ სარეზერვო ფონდები ცარიელია და ასეულობით ლარი არავინ იცის, რაშია გახარჯული.



იმის გამო, რომ ხელისუფლებას ბიუჯეტში ცვლილე-

# ბიძინა ივანიშვილი სტიქიით მიყენებულ ზარალს სრულად დაფარავს

ბების შეტანა უწევს, ნიშნავს იმას, რომ ბიუჯეტში თანხები არ არსებობს და სტიქიის შედეგად დაზარალებულ ხალხს დახმარება სჭირდება“, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილს არანაირი კანონიერი გზა დაზარალებულების დასახმარებლად არ აქვს. არსებობს „ის ერთადერთი კანონიერი გზა, რომელიც უკანონო გადაწყვეტილებას ეფუძნება, მაგრამ კანონიერია, რადგან კონკრეტულ მითითებულ ანგარიშზე თანხის გადარიცხვა შეუძლია. ამიტომ მზადაა, პირველ ეტაპზე ათი მილიონი გადარიცხოს. თანხა მომავალში გაიზრდება და, სავარაუდოდ, ბატონი ბიძინა სტიქიით მიყენებულ ზარალს სრულად დაფარავს“, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

პრესსპიკერის თქმით, პარასკევს ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა განცხადება, რომლის მიხედვითაც იგი სტიქიის შედეგად მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების პროცესს იწყებს და ამ მიზნით ბიუჯეტში თავდაპირველად 10 მილიონ ლარს რიცხავს, — ეს ინფორმაცია არც ერთ ნორმალურ ტელეარხზე არ გასულაო. „ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა და „იმედმა“ ეს ინფორმაცია საერთოდ არ გააშუქეს, ხოლო პირველმა არხმა მხოლოდ შაბათს, დილის ახალი ამბების გამოშვებაში გაუშვა.

მაია ფანჯიკიძის თქმით, ბიძინა ივანიშვილი კახეთის რეგიონში მაჟორიტარებთან ერთად თელავის, გურჯაანის, ლაგოდეხის რაიონების მოსახლეობას შეხვდა, რათა ზარალი ენახა და შეეფასებინა სიტუაცია.

„იგი შეძრწუნებული დარჩა ნანახით. იმაზე უარესი სურათი დახვდა, ვიდრე ეს წარმოედგინა“, — განაცხადა ფანჯიკიძემ.



გლეხებს 10-10 ტონა ყურძნის მოსავალი გაუნადგურდათ. მათ აიღეს კრედიტები და 1 წლით გადავადება არაფერს არ შეცვლის. ვაზები განადგურებულია, ახალი ნერგებია ჩასაყრელი, რომელიც მომავალი წლისთვის მოსავალს ვერ მისცემთ. ამიტომ მათ კრედიტების რამდენიმე წლით გადავადება სჭირდებათ.

მაია ფანჯიკიძის თქმით, ბიძინა ივანიშვილმა გლეხებს განუცხადა, რომ 1 კგ ყურძნის ფასი არ შეიძლება 1 ლარზე ნაკლები იყოს და ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ამ საკითხს გადახედავს. კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ასევე განაცხადა, რომ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გლეხები მოსავალს დააზღვევენ და, ზარალის შემთხვევაში, ხელისუფლების შემყურე არ იქნებიან.

მაია ფანჯიკიძემ ბრიფინგზე სხვა საკითხებზეც გაამახვილა ყურადღება. „მოვითხოვთ, პარლამენტის შენობის გაყიდვის პროცედურები გაასაჯაროონ“, — განაცხადა ფანჯიკიძემ. ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციით, პარლამენტის შენობა გაყიდულია, ეკონომიკის სამინისტრო კი ამ ფაქტს არ ადასტურებს.

„ქართული ოცნება“ მოითხოვს პარლამენტის შენობის გაყიდვასთან დაკავშირებული ყველა პროცედურის საჯაროობას და გამჭვირვალობას — საზოგადოებას და მედიას აქვს უფლება, იცოდეს ამის შესახებ, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

მისი თქმით, „ქართული ოცნება“ ხელს მოაწერს დოკუმენტს „ეს შენ გეხება“, რადგან საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია დოკუმენტი, რომელიც მოაწესრიგებს პოლიტიკურ პარტიათა ქცევას, თუმცა ეს უნდა შეიმუშაოს არასამთავრობო და სამოქალაქო სექტორმა, და არა „ნაციონალურმა მოძრაობამ“.

„ჩვენთვის მიუღებელია „ნაციონალური მოძრაობის“ დოკუმენტი წინასაარჩევნოდ პოლიტიკური პარტიების ქცევასთან დაკავშირებით. ამასთან, ვფიქრობთ, რომ კომპანია „ეს შენ გეხებას“ მიერ შემუშავებული დოკუმენტი გამართული და მისაღებია, თუმცა ჯერ კიდევ საჭიროა მასზე მუშაობა. ჩვენ მზად ვართ, ხელი მოვაწეროთ ამ დოკუმენტს, „ნაციონალების“ შემოთავაზებულს კი ხელს არასოდეს მოვაწერთ“, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

მისი განცხადებით, ამ თვის განმავლობაში ბიძინა ივანიშვილის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ფრანგული კომპანიის ორი თანამშრომლის საქართველოში არშემოშვების საკითხი საერთაშორისო ყურადღების საგნად იქცა.

„ქართულ ოცნებას“ ოფიციალური წერილით მიმართა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტის დირექტორმა ჟულიე კოპერმა და გვთხოვა, გავაცნოთ საქმის დეტალები.

გვითხრა, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი საფრანგეთის მოქალაქეებისადმი განხორციელებული ქმედების დეტალურად გამოძიებასა და რეაგირებას აპირებს“, — დასძინა ფანჯიკიძემ.

**ნატა ნიბლაძე**

## განცხადება

### მხარს ვუჭერთ სადამკვირვებლო ორგანიზაციების გამოქვეყნებულ დოკუმენტს

**როგორც** ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ, მივესალმებით სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ინიციატივებს სამართლიანი, კონკურენტული და მშვიდობიანი საარჩევნო პროცესის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, მხარს ვუჭერთ კამპანია „ეს შენ გეხება!“ ეგიდით ქართული სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ 16 ივლისს გამოქვეყნებულ დოკუმენტს და მზად ვართ, ავიღოთ ამ დოკუმენტში ასახული პრინციპების დაცვის ვალდებულება.

ვთვლით, რომ მმართველი პარტიის ბოლოდროინდელი ალტერნატიული ინიციატივები, მათ შორის, აღნიშნული დოკუმენტის რაიმე სხვა დოკუმენტის დამატებად განხილვის თაობაზე, ხელს არ უწყობს დეკლარირებული მიზნის მიღწევას.

ჩვენ მზად ვართ, განვიხილოთ სამოქალაქო საზოგადოების მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში დამატებითი პუნქტების შეტანის საკითხი, მათ შორის, არჩევნების შედეგების თაობაზე ყველა სადავო საკითხის მხოლოდ მშვიდობიანი და კონსტიტუციური გზებით გადაწყვეტის და უმცირესობების თუ პოლიტიკური ოპონენტების მიმართ სიძულვილის ენის გამოუყენებლობის ვალდებულება.

კოალიცია „ქართული ოცნება“
23 ივლისი, 2012 წ.

## საქართველოს მედიასაშუალებების მიმართვა

# მოიხსნას ყადაღა „მაესტროს“ კუთვნილ ქონებაზე

**საქართველოს მედიასაშუალებებმა გაავრცელს მიმართვა მედია ინფორმაციის შეზღუდვის წინააღმდეგ. „ინტერპრესნიუსი“ მიმართვის ტექსტს უცვლელად გთავაზობთ:**

პროკურატურის შუამდგომლობისა და სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ტელეკომპანია „მაესტროს“, ჩამოართვეს მისი კუთვნილი დიდი რაოდენობის სატელიტური ანტენები და სხვა ტექნიკური საშუალებები, რითაც ის აპირებდა, საკუთარი პროდუქტი — ამ შემთხვევაში ინფორმაცია — მეტი ადამიანისთვის მიეწოდებინა, რაც ყველა მედიასაშუალების ბუნებრივი მიზანია. ეს ტექნიკა მომხმარებელს საშუალებას მისცემდა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, მიეღო სხვა ტელეარხებიც. მათ შორის, „მაესტროსგან“ დიამეტრულად განსხვავებული პოზიციის მქონე ტელევიზიებიც.




მიგვაჩნია, რომ „მაესტროსთვის“ ტექნიკის უკანონოდ ჩამორთმევამ, ერთი მხრივ, შელახა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება და, მეორე მხრივ, ადამიანის უფლება, მიიღოს რაც შეიძლება მეტი განსხვავებული აზრი და ინფორმაცია.

პროკურატურის მიერ გადადგმული ნაბიჯი, რაც შემდეგ სასამართლომ გაიზიარა, წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს მიერ გაცხადებული დემოკრატიული განვითარების პრინციპებთან და ხელს უშლის მოქალაქეების მიერ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას.

ჩვენ ამას აღვიქვამთ დამოუკიდებელი მედიის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად. აღვნიშნავთ იმასაც, რომ სრულიად მიუღებელია მედიის წინააღმდეგ, პოლიტიკური მიზნებით, ისეთი სახელმწიფო ინსტიტუტების გამოყენება, როგორიცაა პროკურატურა და სასამართლო.

ჩვენ, მედიასაშუალებების წარმომადგენლები მოვითხოვთ დაუყოვნებლივ მოიხსნას ყადაღა „მაესტროს“ კუთვნილ ქონებაზე და დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს“, — ნათქვამია მედიასაშუალებების მიმართვაში.

## კუბლაშვილების ხაზინადარი

**„ქართუ ჯგუფში“ იძულებითი მმართველის შესვლამ უნებურად ყველას ის ისტორია გაახსენა, როდესაც რამდენიმე წლის წინათ მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკურ ოპონენტს, ბადრი პატარკაციშვილს ებრძოდა. მაშინაც მისი პოლიტიკური ბრძოლა იმ ქონების წართმევა-დაყადაღებით დაიწყო, რაც პოლიტიკაში გადასულ ბადრი პატარკაციშვილს ეკუთვნოდა. მაშინაც პატარკაციშვილის „სტანდარტ ბანკში“ დროებითი მმართველი შეუშვეს და ბანკი გააკოტრეს.**

იმის მიუხედავად რომ 2007 და 2012 წლების პოლიტიკური საქართველო მნიშვნელოვნად განსხვავებულია, სააკაშვილისა და მისი გუნდის პოლიტიკური მეთოდები იგივეა.

# უგულავა „ქართუ ბანკში“ გასაკოტრებლად შეაგზავნეს

სხვადასხვა წყარო ამტკიცებს, რომ ვლადიმერ უგულავა, რომელიც ახლა ბიძინა ივანიშვილის „ქართუ ჯგუფს“ განკარგავს, სწორედ ბანკის გასაკოტრებლად არის შეგზავნილი, უგულავას მოიხსენიებენ, როგორც კუბლაშვილების ბიზნესების ხაზინადარს, რომელიც „ქართუ ბანკს“ ჯერ გააკოტრებს, შემდეგ კი დაეპატრონება.

თუმცა, საკითხავია, სინამდვილეში ვინ დაეპატრონება „ქართუ ბანკს“. არსებობს ინფორმაცია, რომ უგულავა იმ ჯაჭვის ბოლო რგოლია, რომელიც საბოლოოდ ქვეყნის უმაღლეს მმართველობასთან მიდის.

უგულავას გამოცდილება მართლაც არ აკლია, იგი მუშაობდა პრეზიდენტ შევარდნაძის ეკონომიკური პოლიტიკის ანალიტიკური სამსახურის უფროსად, იყო ანტიკორუფციული საბჭოს მდივანი და ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრი. იყო „ალდაგი ბი-სი-აი-ს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, „ტაოპრივატბანკის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

ცნობილია, რომ ვლადიმერ უგულავა სადაზღვევო კომპანია „ევროპეისის“ დირექტორიც იყო, რომელიც ზესტაფონის „ფეროს“ მფლობელმა გუნდმა დააფუძნა. „ფერო“ კი ყველასათვის ცნობილია, რომ კოკაიასა და კაპანაძეს ეკუთვნის. ამ საინტერესო ტანდემის შესახებ შემდეგ, ალბათ, ცალკე ღირს საუბარი, თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენთვის ვლადიმერ (კახაძ უგულავაა საინტერესო.

რა გასაკვირია, რომ ვლადიმერ უგულავას, კუბლაშვილების ხაზინადაროზის გარდა ე.წ. რიჟას, ბიზნეს პარტნიორადაც მოიხსენიებენ, ეს ის „რიჟაა“, რომელთან ერთადაც ირაკლი ოქრუაშვილმა პრეზიდენტის ბიძა თემურ ალასანია დააპატიმრა. ამბობენ იმასაც, რომ „ტაოპრივატბანკში“ უგულავა იმიტომ შეუშვეს, რომ კუბლაშვილების ინტერესს წარმოადგენდა.

ჩვენი წყარო ამბობს, რომ შემთხვევითი არ არის რუსთავის ავტობაზრობის ტერიტორიების „ტაოპრივატბანკისთვის“ გადაცემაც, რადგან არსებული ინფორმაციით ამ ბაზრობის წილშიც კუბლაშვილები არიან.

როგორც ჩვენი წყაროები ამბობენ, უგულავას ამ ხელისუფლებასთან დამაკავშირებელი რგოლი ერთი მხრივ კუბლაშვილები არიან, მეორე მხრივ კი რიჟა, იგივე გიორგი კაპანაძე, „პრაიმ ტაიმის“ ხელმძღვანელის თამარ ფხაკაძის დისშვილია.

ამ ჯგუფის არსებობას ადასტურებს „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილიც, რომელიც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ „ჯორჯიან თაიმსთან“ საუბრისას დაწვრილებით ყვება, როგორ ჩაიგდო ამ გუნდმა ხელში უზარმაზარი წარმოება.

„2007 წლიდან ამ ვეებერთელა კვანძის — ზესტაფონის „ფეროს“ და „ჭიათურ-მანგანუმისა“ და „ვარციხეჰესის“ ოფიციალური მფლობელი გახდა უკრაინული „პრივატბანკი“, რომელიც თავის დროზე იულია ტიმოშენკოსთან იყო დაკავშირებული. მაგრამ, ამის მიუხედავად, სააკაშვილი და სხვა მაღალჩინოსნები ამ საბადოთი ჯიბეებს მაინც ისქელებენ.

ამ საბადოსთან დღესაც პირდაპირ თუ ირიბადაა დაკავშირებული სააკაშვილის მეგობარი — დავით ბეჟუაშვილი. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ზესტაფონისა და ჭიათურის საქმეებში აქტიურად ჩაერთო სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანიაც.

შევარდნაძის დროს, კოკაია და კაპანაძე მეტსახელად „რიჟა“, ხელმძღვანელობდნენ ზესტაფონსა და ჭიათურას. ისინი მაშინდელ მაღალჩინოსნებთან ერთად (მათ შორის იყვნენ ნუგზარ შევარდნაძე და დავით ბეჟუაშვილიძ, ამ საწარმოს ანადგურებდნენ და აკოტრებდნენ. „ფეროსა“ და „მანგანუმში“ ხელმძღვანელ პოსტებზე ახლაც კოკაია და კაპანაძე არიან. ერთი პერიოდი, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, კოკაია და კაპანაძეც ავსტრიაში იყვნენ გაქცეულნი“, — ამბობს შაშიაშვილი.

„თეთრების“ ლიდერი იხსენებს იმ პერიოდსაც, როდესაც 2004 წელს, როცა თემურ ალასანია, კოკაია და კაპანაძე რესტორნიდან გამოდიოდნენ, ირაკლი ოქრუაშვილმა ისინი დაიჭირა.

როგორც მაშინ გახდა ცნობილი, კოკაიასა და კაპანაძეს 300 ათასი ლარი უნდა მიეცათ თემურ ალასანიასათვის ქრთამის სახით, რომ სააკაშვილს საქმეები ზესტაფონსა და ჭიათურაში მათ სასარგებლოდ გადაეწყვიტა.

„მერე მანდ რაღაც გარიგება მოხდა და ეს საქმე ჩაშუშმინდა, თორემ დიდი სკანდალი იყო ატეხილი. ამის შემდეგ გაიქცნენ ისინი ავსტრიაში, მაგრამ ახლა აქ არიან. კოკაიაც და კაპანაძეც ხელმძღვანელ პოსტებზე სხედან და სააკაშვილთან შეხმატკბილებულად აკოტრებენ საბადოს. აი, ასეთ შავბნელ საქმეებშია გახვეული მიხეილ სააკაშვილი და მის ყველა ამ შავ საქმეს სულ მალე ფარდას ავხდით“, — ამბობს შაშიაშვილი.

ასე რომ, ადვილად წარმოსადგენია, რა ინტერესები შეიძლება ჰქონდეს ამ ჯგუფს, რომლის წარმომადგენელიც უგულავაა „ქართუ ჯგუფში“.

**მარიამ თოდაძე**

For.ge

**— ოპოზიციის მიმართ ხელისუფლების ზეწოლამ უკვე პერმანენტული ხასიათი მიიღო და დასასრული არ უჩანს. თქვენი შეფასებით, რა ხდება, შიშის უკან მობრუნება სურთ თუ ეს მომენტი ხელისუფლებას უკვე ხელიდან გაუსხლტა და ამან უკვე ჩაიარა?**

— როგორც ჩანს, არ გაუვლია, ყოველ შემთხვევაში, ვიღაცას იმედი აქვს, რომ ხელისუფლების მიმართ საბჭოურ შიშებს ჯერაც არ ჩაუვლია და, რომ მათი გაღვიძებით ჯერ კიდევ შეიძლება პოლიტიკური მიზნების მიღწევა.

ასეთი ტაქტიკა გარკვეულად ამართლებს – განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც ადამიანები მთლიანად არიან დამოკიდებული ხელისუფლებასა და მის კეთილგანწყობაზე. რეგიონებში დასაქმებაც და სოციალური დახმარების მიღებაც ხომ მთლიანად პოლიტიკურ ლოიალობაზეა მიბმული.

ის, რაც შედარებით შეფარულად ხდება ცენტრში, გულახდილი ცინიზმით თამაშდება პერიფერიებსა და რეგიონებში. არაერთხელ მითქვამს, რომ ხელისუფლება პატივს არ სცემს საკუთარ ხალხს და თავს უფლებას აძლევს, არც კი იფიქროს ადამიანების ღირსებაზე, პატივი სცეს მის შეხედულებებს და ა. შ. დარწმუნებულია, რომ ერთიცა და მეორეც ფინანსური ბერკეტებით და შიშით შეიძლება მართოს. ერთგულებს კი ისეთი ენის მოჩლექით ესაუბრებიან, რომ პირადად მე თავს უხერხულად ვგრძნობ ხოლმე.

**— ხელისუფლება სხვადასხვა მიზეზით უზარმაზარ ჯარიმებს უწესებს „ქართული ოცნების“ წევრებს. როგორ ფიქრობთ, ეს არის მცდელობა, რომ ხალხი მოთმინებიდან გამოიყვანოს თუ ცდილობს, ოპოზიციამ წინასაარჩევნო კამპანია უბრალოდ, ველარ გააგრძელოს?**

— ხელისუფლება იმდენად ტლანქად აკეთებს ყველაფერ ამას, რომ თქვენი ეჭვი უსაფუძვლო არ არის. არ არის გამორიცხული, რომ ერთ-ერთი სცენარით, იყოს მცდელობა, მოვლენებმა პოლიტიკური და საარჩევნო დისკურსიდან სამიტინგო რევოლუციურ რელსებზე გადაინაცვლოს.

დღევანდელი საპროტესტო მუხტი და პოლიტიკური განწყობილებები არჩევნებზეა კონცენტრირებული. ეს კი ნიშნავს, რომ უბრალო ადამიანები ბოლომდე იბრძოლებენ თავისი ხმების დასაცავად. ხელისუფლება გრძნობს ამას და იმასაც ხედავს, თუ რამდენად საშიშია მისთვის მოვლენების ამგვარი განვითარება. ამიტომაც ცდილობს და კვლავაც შეეცდება, რომ ოპოზიცია კანონის ფარგლებს გარეთ გაიტყუოს.

გული დაგწყდება კაცს, ისეთი ბანალური სცენარით წარიმართა ჩვენებური ლიბერალი რევოლუციონერის განვითარება 2003 წლის შემდეგ. მან დაიწყო სამყაროს გარდაქმნის ენთუზიაზმით და... როგორც დოსტოევსკი იტყოდა, პარანოიალური ყაიდის იდეებით დასნეულებულ ადამიანებს სჩვევიათ, ჰიპნოტური ხიბლი აღმოაჩნდა! ის იოლადავრცელებს ცრუ წარმოდგენების ვირუსს იმის შესახებ, რომ სამყარო იოლი გარდასაქმნელია, რომ ძალზე იოლად შეიძლება დამყარდეს „მზის მეუფება“.

რაც უფრო გამოუცდელია საზოგადოება, რაც უფრო ინფანტილურია იგი, მით უფრო იოლად იჯერებს სამყაროს სწრაფი გარდაქმნის მითს და მით უფრო იოლია, იგი მარტივი და იოლი მიზნების სახელით ამოძრავო. რევოლუცია ის მომენტია, როდესაც საზოგადოების კრიტიკულად დიდი ნაწილი მითის მთხზველობაში აღმოჩნდება ხოლმე ჩართული.

შემდეგ, სულ მალე, რევოლუციონერი აღმოაჩენს, რომ მისი საზოგადოება ზედმეტად ხისტია საიმისოდ, რომ მისი ამაღლებული იდეების მთელი სიდიადე გაიაზროს და მტრების ძებნას იწყებს.

**რიგითმა ამომრჩეველმა არჩევნები კვლავ ახალ რევოლუციად, კეთილისა და ბოროტის საბოლოო დაპირისპირებად არ უნდა აღიქვას. ამის ნიშნები უკვე არის. ამას კი კარგი არასოდეს მოუტანია არც ჩვენთვის და არც სხვებისთვის.**

ჩვენი შინნაზარდი რევოლუციონერებიც ამ გზას დაადგნენ და ამ მტრებსაც მალე მიაგნეს. თუ უფრო ზუსტნი ვიქნებით, ამ მტრებისთვის მათ უკვე რევოლუციამდე ჰქონდათ მიგნებული – ესენი აღმოჩნდნენ ტრადიციული ღირებულებების შემნახველი და დამცველი სამი ფენა: ეკლესია, ტრადიციული ინტელიგენცია და გლეხობა.

აქედან უკვე გასაგებია, თუ რატომ მიმართავდნენ და მიმართავენ ისინი თავიანთ აგრესიას პირველი ორის წინააღმდეგ და რატომ უგულებელყოფენ სოფელს. საქმე არ გვაქვს უმწეო პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ აზროვნებასთან.

საქმე სწორედ რომ გვაქვს ჩვენებური რევოლუციონერის უკიდურესად იდეოლოგიზებულ აზროვნებასთან. იდეოლოგიზებული გონი კი იოლად აქცევს კანონს განსხვავებული შეხედულებების წინააღმდეგ მიმართულ მათრახად. ამასაც ყოველდღიურად ვუცქერთ. მარტო დაყადაღებასთან დაკავშირებული ისტორიების გახსენება კმარა.

ცუდი აქ ის არის, რომ ამან იოლად შეიძლება, ხელი შეუწყოს სამიტინგო-რევულუციური განწყობილებების გაძლიერებას. რიგითმა ამომრჩეველმა არჩევნები კვლავ ახალ რევოლუციად, კეთილისა და ბოროტის საბოლოო დაპირისპირებად არ უნდა აღიქვას. ამის ნიშნები უკვე არის. ამას კი კარგი არასოდეს მოუტანია არც ჩვენთვის და არც სხვებისთვის.

თუ ეს ასე მოხდა, დამნაშავე ისევ და ისევ ხელისუფლება იქნება, რომელმაც თავისი შეთქმულის პათოსით არაფრით არ მოინდომა, პოლიტიკური პროცესები სამართლიანობის ჩარჩოში განვითარებულიყო. დღეს იგი სრულიად მარტივ ტაქტიკას ადგას: თავადვე ქმნის იმ კანონებს, რომელიც თამაშგარეთ ტოვებს ყოველგვარ ოპოზიციურ მოძრაობას და შემდეგ დამსჯელ ინსტრუმენტად იყენებს მას.

ამით იგი ან იმას მიაღწევს, რომ ოპოზიცია თავისი ნებით იტყვის უარს კანონის ფარგლებში დარჩენაზე, ან კიდევ არჩევნების მომენტისათვის საპროტესტო განწყობილებების ისეთ კონცენტრაციას მივიღებთ, რომელიც მას წალეკავს.

მართალი გითხრათ, ნამდვილად არ მინდა, რომ ამ სცენარებიდან რომელიმე განხორციელდეს. ოცწლიანი დამოუკიდებლობის შემდეგ დროა, ქართული პოლიტიკური ცხოვრება რაციოსა და სამართლის რელსებზე შედგეს და თავი დავაღწიოთ რევოლუციურ რომანტიზმს.

2007-11 წლების ისტორიამ ყველას დაგვანახვა, თუ რამდენად უნაყოფოა რევოლუციური გზა და რომ ასეთ დროს დღევანდელი ხელისუფლება თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში.

**— ცხადია, რომ ხელისუფლებას ეს ყველაზე მეტად აწყობს, მაგრამ თავად ოპოზიცია რამდენად არის მზად**

# ხელისუფლება ცდილობს, რომ ოპოზიცია კანონის ფარგლებს გარეთ გაიტყუოს

მას შემდეგ რაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში გადავიდა, ხელისუფლება უცნაურად იქცევა, ოპოზიციაზე ზეწოლისთვის იყენებს ყველა მექანიზმს, რაც კი ხელთ აქვს. ოპოზიციის დაყადაღება–დაპატიმრება მის ჩვეულ საქმიანობად იქცა და ბოლოს იქამდეც კი მივიდა, ივანიშვილთან სტუმრად ჩამოსულ კონსულტანტებსაც კი ქვეყანაში აღარ უშვებს. საზოგადოებაში ხელისუფლების საქციელს ხან პანიკური შიშით ხსნიდნენ, ხან ფიქრობდნენ, რომ ამით საკუთარი ძლევამოსილების ხაზგასმა სურდა.



არის თუ არა ხელისუფლების მიზანი საზოგადოების მოთმინების ძაფის გაწყვეტა და ასეთი ქმედებით რისი მიღწევა სურს ხელისუფლებას, ამ თემებზე ფილოსოფოსი **ზაზა ფირალიშვილი** გვესაუბრება.

**იმისათვის, რომ არ წამოეგოს ხელისუფლების პროვოკაციებს. არც ისე დიდი ხნის წინ, როგორც თქვენ აღნიშნეთ, სწორედ ეს მოხდა...**

— რამდენადაც ვიცნობ სიტუაციას, მოცემულ მომენტში მხოლოდ პროვოკატორები თუ მოუწოდებენ ვიღაცას გამოსვლებისაკენ. ქართული საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა კარგად გაიგო, რომ იმ მეთოდებით ბრძოლა ხელისუფლების წინააღმდეგ რა მეთოდებითაც იბრძოდნენ მთელი ამ სამი-ოთხი წლის განმავლობაში, უაზროა. ასეთ ბრძოლაში ხელისუფლება ყოველთვის გაჯობებს. ამ მინდორზე იგი ყოველთვის დაგამარცხებს.

**— საზოგადოებაში ძალიან დიდი ხნის განმავლობაში იყო განწყობა, რომ ამ ხელისუფლებას მაინც ვერავინ ვერ მოერევა, ამ მდგომარეობას ვერავინ ვერ შეცვლის, საზოგადოება იყო ხელჩაქნეული, ზოგი ქვეყნიდან გარბოდა, ზოგიც ცდილობდა არსებულ რეალობას შეგუებოდა. მაისის შემდეგ ვნახეთ, რომ ხალხს აქვს პროტესტის გრძნობა და რეალობასთან წინააღმდეგობის გაწევის სურვილი. მეორე მხრივ, საზოგადოების მდგომარეობა მხოლოდ ბოლო ერთი-ორი წლის განმავლობაში არ გაუარესებულა, თუმცა აქამდე მსგავსი პროტესტი ვერ შედგა. ეს რითი აიხსნება, როგორ ფიქრობთ?**

— გამოჩნდა ის პოლიტიკური ძალა, რომელმაც შეძლო ქვეყანაში არსებული საპროტესტო მუხტის მობილიზება. ჩვენ სწორედ ეს გვაკლდა: არ არსებობდა ცენტრი, რომელსაც გარდა ენთუზიაზმისა ექნებოდა რაციოც და მიზნისაკენ მეთოდური და თანამიმდევრული სვლის ნებისყოფაც.

დღეს არის ასეთი ცენტრი და შესაბამისად, ადამიანებს იმედი გაუჩნდათ. დღეს ჩანს ის ძალა, რომელსაც ძალუძს გამარჯვებისათვის საჭირო რესურსების მობილიზება. ცოტა ხნის წინ ჩვენს ოპოზიციურ პოლიტიკურ გემოვნებას მხოლოდ ცალკეული რევოლუციური პათოსის მატარებელი ადამიანები ქმნიდნენ.

ადამიანები უსმენდნენ მათ, თანაუგრძნობდნენ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში მხარდაჭერისაგან თავს იკავებდნენ, რადგან მათში ხელისუფლების სრულფასოვან ჩამნაცვლებელს ვერ ხედავდნენ.

გარდა ამისა, არის მეორე მომენტიც. 2011 წლის მაისის მოვლენებმა და სამიტინგო-რევოლუციური დისკურსის მარცხმა ჩვენში თვითორგანიზების ნება გააღვიძა. ალბათ, დღეს ესაა მთავარი რიგითი ადამიანების ნება, რომ რაღაც შეცვალონ ქვეყანაში. სწორედ ამ ნების გატეხვა სურთ საბჭოური შიშების გაღვიძებით.

**— საზოგადოების განწყობა მართლაც შეცვლილია, თუმცა მაინც ვერ აისახა საკმაოდ პრესტიჟული ორგანიზაციის კვლევებში, გაქვთ ახსნა, რატომ?**

— მე პირადად, ამ ორგანიზაციის კვლევების შედეგებს ნაკლებად ვენდობი და გაცნობის სურვილიც არ მაქვს. მესმის, რომ სოციოლოგიური კვლევები ხშირად იქცევა ხოლმე პოლიტიკური პროპაგანდის ნაწილად, მაგრამ რასაც ზოგი ორგანიზაცია აკეთებს, ყოველგვარ საზღვრებს სცილდება და მხოლოდ ირონიას იწვევს.

ხელისუფლების წარმომადგენლებსაც არ ვურჩევდი, სერიოზულად ენდონ ამ შედეგებს. ცხადია, შეიძლება პროპაგანდისტული მიზნებისათვის გამოიყენონ, მაგრამ თვითონ მაინც ნუ დაიჯერებენ.

**— რაზედაც „ქართულ ოცნებას“ ედავება ხელისუფლება, რომ ის ამომრჩევლის მოსყიდვას ცდილობს, „ნაციონალური მოძრაობა“ თავად იმავეს აკეთებს. თუკი ანტენების და თეფშების განვადებით გაყიდვა ამომრჩევლის მოსყიდვაა, ასევე მოსყიდვის კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს რეგიონებში მოსახლეობისთვის წყლის დავალიანების ჩამოწერას, აღარაფერს ვიტყვი 1000-ლარიან ვაუჩერზე, ეს ხომ კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ სამართლიანობის პრინციპი ირღვევა და როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებას სამართლიანობა არ სჭირდება იგივე ამომრჩევლის მოსაზიდად?**

— რა სამართლიანობის პრინციპზე შეიძლება საუბარი? თანაც ხელისუფლება თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ხარჯავს იმ თანხებს, რომელსაც მე, როგორც მოქალაქე, ვიხდი გადასახადების სახით.

აქ არა მხოლოდ სამართლიანობის პრინციპის დარღვევაა, არამედ დგება თანხების ხარჯვის მიზნობრიობის საკითხიც. სამართალდამცავებმა ეს ყველაფერი კარგად უნდა შეისწავლონ – არა იმისთვის, რომ ახლა არჩევნებში ვიღაცამ მიაღწიოს წარმატებას, არამედ იმისთვის, რომ მსგავსი რამ ჩვენს ისტორიაში აღარ განმეორდეს.

როდესაც ადამიანებს, ათობით და ასობით ადამიანისაგან, პრობაციონერებს ვგულისხმობ, მოითხოვენ არა მხოლოდ პოლიტიკურ ლოიალობას, ამას კიდევ არაუშავს, არამედ – აგრესიულ დაპირისპირებასაც ოპოზიციის წარმომადგენლებთან, მხოლოდ მოსყიდვასთან არ გვაქვს საქმე. ეს გაცილებით უარესია, ვიდრე ბანალური მოსყიდვა. ეს ყველაფერი დაწვრილებით უნდა იქნას შესწავლილი.

ბოლოს და ბოლოს, უნდა შევეცადოთ და შევქმნათ ჩვენს ქვეყანაში მოუთმენლობის გარემო ამგვარი უმსგავსობების მიმართ. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება ხელისუფლების სათავეში.

მე თავად მინახავს ეს ადამიანები. პირადად მე გამომიტყდა ერთი პრობაციონერი, რომ იგი აიძულეს, აგრესიულად დაპირისპირებოდა ოპოზიციის წარმომადგენლებს. ესაა სრული უმსგავსობა.

1000-ლარიანი ვაუჩერები და მსგავსი რამ კიდევ არაფერია ამასთან შედარებით. პრობაციონერებისა და დასაქმებულების გამოყენება კიდევ უფრო მძიმე მორალური დანაშაულია. მსგავსი რამ წარმოუდგენელია ასე თუ ისე ნორმალურ ქვეყანაში მოხდეს. ხელისუფლება, რომელიც ლიბერალიზმისა და დემოკრატიის ტერმინებით გვესაუბრება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე, თვითონვე ცინიკურად ქმნის ამ ღირებულებათა დარღვევის ყველაზე მძიმე პრეცედენტებს.

**— თუმცა დასავლეთი, რომელიც თითქოს ჩვენი დემოკრატიის მეთვალყურის როლში გამოდის, ამ ყველაფერზე ნაკლებად რეაგირებს...**

— დასავლეთი უკიდურეს მომენტამდე შეეცდება, აქტიურად არ ჩაერიოს პროცესებში. თანაც დასავლეთი არ არის ერთგვაროვანი და იქაც მრავლად არიან შრიოდერისა და ბერლუსკონის მსგავსი პოლიტიკოსები. თუმცა კი ისიც აშკარაა, სიტუაცია ისე ვითარდება, რომ მალე ეს უკანასკნელებიც იძულებულები იქნებიან, ხმა ამოიღონ.

თანაც, გავიხსენოთ ჯონ ბასის განცხადებები. ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენი მთავარი პარტნიორია და როდესაც მისი ელჩი ასეთ განცხადებებს აკეთებს, ეს ბევრ რამეზე მიანიშნებს. არ ვიცი, უფრო მძიმე რა განცხადება შეიძლება გააკეთოს დიპლომატმა. ფაქტობრივად მისი ძალისხმევით გადარჩა ტელეკომპანია „თრიალეთი“.

**დასავლეთი არ არის ერთგვაროვანი და იქაც მრავლად არიან შრიოდერისა და ბერლუსკონის მსგავსი პოლიტიკოსები. თუმცა კი ისიც აშკარაა, სიტუაცია ისე ვითარდება, რომ მალე ეს უკანასკნელებიც იძულებულები იქნებიან, ხმა ამოიღონ.**

**— უკვე ვთქვით, რომ ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს, საზოგადოებას მოთმინების ძაფი გაუწყდეს და მოქმედებები სხვა განზომილებაში გადავიდეს, როგორ ფიქრობთ, თუკი მართლაც ასეთი გამწვავებისკენ წავიდა საქმე დასავლეთი კვლავ შორიდან დაგვაკვირდება, თუ შეეცდება, რომ თავიდან აგვაცილოს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ეგვიპტის, ლიბიის თუ სირიის სცენარები?**

— ამაზე მხოლოდ ზოგადი პასუხის გაცემა შემიძლია. დასავლური პოლიტიკა ყველაფერს იზამს, რომ საქმე უკიდურეს გამწვავებამდე არ მივიდეს. მოგეხსენებათ, როგორ რთულ რეგიონში ვცხოვრობთ. ამიტომაც, არ არის გამორიცხული, რომ ხელისუფლება ხელოვნურად შეეცადოს სიტუაციის გამწვავებას სწორედ იმ იმედით, რომ რაღაც მომენტში ოპოზიციაც და დასავლეთიც დათმობაზე წავლენ.

**ლალი ზირაქიშვილი,**
**For.ge**

## ვინ როგორ ხედავს

# „ქართული ოცნების“ დასავლური კურსი და რუსეთთან კორექტული ურთიერთობა რომანტიკულ ოცნებას ჰგავს

**— ბატონო დიმიტრი, „ინტერპრესნიუსთან“ ინტერვიუში, რომელიც ჩვენ თქვენთან თებერვალში ჩავწერეთ, რუსეთთან მიმართებაში კოალიციის ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის მიდგომებზე საუბრისას თქვენ ბრძანეთ, — „ჯერ პრინციპულად ახალი არაფერი უთქვამსო“. გორში გამართულ აქციაზე რუსეთთან მიმართებაში ივანიშვილმა განაცხადა — „ევროპა და ატლანტიკური არჩევანი ჩვენი სტრატეგიაა. რუსეთთან ჩვენი დამოკიდებულება იქნება კორექტული, მაგრამ პრინციპული“. შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ, რომ კოალიციამ კრემლთან მიდგომების ფორმულა გამოკვეთა?**

— როგორც ფორმულა, გამონათქვამი ურიგოდ არ გამოიყურება. მაგრამ, რამდენად რეალურია, ესაა გასაანალიზებელი. საქართველოში რუსეთთან კორექტული ურთიერთობის წინააღმდეგი ვინ უნდა იყოს?! სწორედ ამგვარ პოლიტიკურ კურსს ადგა შევარდნაძის ხელისუფლება, არ ამწვავებდა დამოკიდებულებას, კომპრომისებსაც ხშირად მიმართავდა, მაგრამ მისი პოლიტიკა მაინც არასაკმარისი აღმოჩნდა ყოფილი მეტროპოლიისთვის. მით უფრო მიუღებელი იქნება ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისთვის „პრინციპული“ პოლიტიკა საქართველოს ნებისმიერი წარმოსახვითი ხელისუფლებისგან. ზემოაღნიშნული ფორმულა პოლიტიკური რეალობის შემცველი ნაკლებადაა და უფრო წინასაარჩევნო დამამშვიდებელი აზის დანიშნულებას უნდა ასრულებდეს. ის პასუხობს საზოგადოების იმ ნაწილის განწყობას, რომელიც რუსეთთან დათმობების მომხრეა. საზოგადოების ეს ნაწილი დაიღალა დიდ მეზობელთან გაუთავებელი დაძაბულობით, რაც გაიგივებულია ასევე გაუთავებელ არასტაბილურობასთან და გამოსავალს სწორედ კომპრომისში ხედავს.

გარდა ამისა, გორის ფორმულა წინააღმდეგობრივი შინაარსისაა. რუსეთი ჩვენგან ჯერჯერობით სწორედ დასავლურ სტრატეგიაზე უარს ითხოვს. „ქართული ოცნების“ დასავლური კურსი და რუსეთთან კორექტული ურთიერთობა უფრო რომანტიკულ ოცნებას ჰგავს. ხორცშესხმული იდილია იქნება, რომ ერთ მშვენიერ დღეს კრემლი შეურიგდეს ჩვენს დასავლურ სტრატეგიას და დაგვიტკბეს. ეს დაუჯერებელია. ყოველ შემთხვევაში კრემლის დღევანდელი ხელმძღვანელებისგან ამ სახის მესიჯები არ წამოსულა. ერთი სიტყვით დავასკვნით, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილის მიერ გორში გაცხადებული საგარეო-პოლიტიკური ფორმულა არარეალისტურია ანუ განუხორციელებელი დაპირებაა.

**— ოქტომბერში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ქვეყანაში პოლიტიკური ტემპერატურა აშკარად ყოველდღიურად მატულობს. თქვენ როგორ შეაფასებდით წინასაარჩევნო პერიოდს? ოპოზიციის ლიდერთაგან ხშირად გაიგონებთ მტკიცებას, რომ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რათა საარჩევნო პერიოდში ქვეყანაში პოლიტიკური პროცესის ნაცვლად ტოტალური ძალადობის ატმოსფერო იყოს...**

— სამწუხაროა, რომ ერთი ქვეყნის პოლიტიკური ელიტის ორივე ნაწილი ასე შეურიგებლადაა დაპირისპირებული. ჩვენ უკვე ოცი წელია, ამგვარი ფსიქოლოგიური კონფრონტაციის ატმოსფეროში ვიმყოფებით. 1991-92 წლების გადატრიალების შემდეგ ჩვენ, ფაქტობრივად, არც ვართ ერთი საზოგადოება. პოლიტიკური კულტურისა და სხვა არაერთი პარამეტრით თანამედროვესთან შედარებით ბევრად მაღლა იდგა XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული საზოგადოება. 1917 წლის ნოემბერში ჩატარდა პირველი ეროვნული ყრილობა, რომელმაც დაპირისპირებული პოლიტიკური ჯგუფები ეროვნულ ნიადაგზე შეათანხმა. მაშინდელმა სოციალ-დემოკრატებმა, ეროვნულ-დემოკრატებმა, სოციალისტ-ფედერალისტებმა, ესერებმა და სხვებმა, რომელნიც დანა-სისხლად იყვნენ წაკიდებულნი, ურთიერთშეთანხმების შედეგად შექმნეს საერთო ეროვნული საბჭო. პირველი რესპუბლიკის დროს ისინი რჩებოდნენ ერთმანეთის ოპონენტებად, მაგრამ ეროვნული ინტერესის გამო ახერხებდნენ ერთმანეთთან შეთანხმებას. დღეს ეს შეუძლებელია. პოლიტიკური ოპონენტები ერთმანეთს ხშირ შემთხვევაში მხოლოდ მტრებად აღიქვამენ. ეტყობა ამგვარი ურთიერთდამოკიდებულების შეცვლას მართლაც ბიბლიური ორმოცი წელი დასჭირდება.

> **საზოგადოების ეს ნაწილი დაიღალა დიდ მეზობელთან გაუთავებელი დაძაბულობით, რაც გაიგივებულია ასევე გაუთავებელ არასტაბილურობასთან და გამოსავალს სწორედ კომპრომისში ხედავს.**

**— რამდენადაც ვხვდები, გახშირებულ დაყადაღებებს, პოლიტიკური ნიშნით დევნას, რომელსაც ოპოზიცია თითქმის ყოველდღე აპროტესტებს, თქვენ კანონის ფარგლებში განხორციელებულ ქმედებებად აფასებთ...**

— ჩვენ ვერ წავართმევთ ხელისუფლებას უფლებას, რომ თავი დაიცვას. ქვეყანაში გაჩნდა პოლიტიკური ძალა, რომელსაც გააჩნია დიდი ფინანსური შესაძლებლობები. წარმოვიდგინოთ, რომ ამ ძალამ დაიწყო პოლიტიკური პარტიების, დაჯგუფებების, პიროვნებების, ჟურნალ-გაზეთების, ტელევიზიების, რადიო-მაუწყებლობების და სხვა ორგანიზაციების დაფინანსება და ყოველივე ამას ხელისუფლება გულმშვიდად უყურებს. მოხდება ასეთი რამ რომელიმე სხვა ქვეყანაში? ან ძალიან გაგიჭირდებათ ასეთი ხელისუფლების მომავლის განჭვრეტა? ასეთი ხელისუფლება ასევე გულმშვიდად დატოვებს პოლიტიკურ არენას. გამოდის, რომ ჩვენ სწორედ ამას ვთხოვთ ხელისუფლებას. დასავლურმა საკანონმდებლო პრაქტიკამ ჩვენზე ადრე განსაზღვრა ამგვარი შესაძლებლობა და ამიტომაც აკრძალა ბიზნესის ჩარევა პოლიტიკურ პროცესებში, თუმცა, ვერ მოსპო ეს პრაქტიკა.

**— როგორ შეაფასებდით წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლების, სისტემური და არასისტემური ოპოზიციის მოქმედებებსა და სტრატეგიებს?**

— ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავიხსენოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებობს ორი უმთავრესი პრობლემა: სოციალური და ორიენტაციული. სტაბილური შეიძლება მხოლოდ ის ქვეყანა იყოს, სადაც მეტ-ნაკლებად დამყარებულია სოციალური წონასწორობა. ჩვენში კი სოციალური პოლარიზმი უკვე რამდენი ხანია, სულ უფრო ღრმავდება და დღევანდელ ხელისუფლებასაც ამ სფეროში რაიმე პროგრესისათვის არ მიუღწევია.





„ქართული ოცნების“ რუსეთთან ურთიერთობის გაცხადებული ფორმულის რეალურ პერსპექტივასა და ქვეყანაში წინასაარჩევნოდ არსებული ვითარების თავისებურებებზე **„ინტერპრესნიუსი“** თსუ-ის პროფესორს, ისტორიის დოქტორს **დიმიტრი შველიძეს** ესაუბრა.

ამ მხრივ, „ქართული ოცნების“, როგორც სერიოზული ოპოზიციური პოტენციის მქონე ძალის გამოჩენამ დადებითი პერსპექტივა შექმნა ქვეყანაში. ხელისუფლებამ იგრძნო თავისი ნაკლოვანებების გამოსწორების აუცილებლობა და დაფაცურდა. ეს კარგია და სწორედ ამაშია დემოკრატიული სისტემის მიზანშეწონილობა. ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნა, მის მიერ ახალი სოციალური პროგრამის ინიცირება, მისი საქმიანი იმიჯი სწორედ ხელისუფლების სოციალური გააქტიურების სიმპტომებია. თავისთავად დადებითი მოვლენა იქნება თუ ორივე ოპონენტური ბანაკი სოციალურ აქტიურობაში გაუწევენ ერთმანეთს კონკურენციას. ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ორივე ბანაკმა მიაგნო ქვეყნის მთავარი უბედურების მიზეზს: სოციალური პოლარიზაცია, ტოტალური უმუშევრობა, „ტყეების სყიდვის“ თანამედროვე ვარიაცია — მომსახურე პერსონალით დასავლეთის მომარაგება და ა. შ. დავუცადოთ და შევამოწმოთ პრემიერ-მინისტრის განცხადება — აქამდე ამისთვის ვერ მოვიცალეთო.

**— ხელისუფლება კი აცხადებს, რომ სურს სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „მასტ ქერის“ მიღება საინფორმაციო სივრცეს მაინცდამაინც არ აფართოებს, ხოლო ხელისუფლება თეფშების ომით ყველა ღონეს ხმარობს საიმისოდ, რომ ხელი შეუშალოს ინფორმაციის თავისუფალ გავრცელებას და ამომრჩევლის მიერ გაცნობიერებული არჩევანის გაკეთებას. თქვენი აზრით, რატომ ეწინააღმდეგება ხელისუფლება ინფორმაციის თავისუფალ გავრცელებას?**

— რატომ ვერ აფართოებს? თუ „მასტ ქერის“ დანერგილი პრაქტიკა სხვა ქვეყნებში აფართოებს საინფორმაციო სივრცეს, ჩვენ წინასწარ რატომ უნდა დავიწუნოთ ამგვარი ინიციატივა?!. რაც შეეხება თეფშების დაყადაღებას, ზემოთ რომ ვახსენე ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი ორი უმთავრესი პრობლემა, იმ თემას გავაგრძელებ. გარდა სოციალური წონასწორობის რეალიზებისა, მეორე პრობლემაა საგარეო ორიენტაციის საკითხი. დავარქვათ მას ორიენტაციული პრობლემა. პირადად მე დასავლური ორიენტაციისა და ჯანსაღი დასავლური ღირებულებების მომხრე ვარ და ეჭვით ვუყურებ ისეთ მოვლენებს, რომლებშიც შეიძლება, რომ ყოფილმა მეტროპოლიამ ხელის ფათური შეძლოს. არჩევნები სწორედ ერთ-ერთი ამგვარი პროცესია. არ ვამტკიცებ, რომ „ქართული ოცნება“ პრორუსული ძალაა, მაგრამ ამ ძალის პოლიტიკურ ფორმირებაში შესაძლებელია რუსეთმა გარკვეული გავლენა მოახდინოს, დღემდე თუ არ ახდენს ან მისი გამოყენება შეძლოს. ამისათვის არის აუცილებელი, რომ ყველა პოლიტიკურმა ძალამ თავისი ორიენტაციული პოზიცია გარკვეულად გამოკვეთოს. წეღან რომ პირველი რესპუბლიკა ვახსენე, ისიც მინდა თანამედროვე საზოგადოებას გავახსენო, რომ საგარეო პოლიტიკის სფეროში მაშინდელი პოლიტიკური სპექტრი ერთსულოვნად დასავლური ორიენტაციისა გახლდათ. გამონაკლისს წარმოადგენდა ქართველ ბოლშევიკ-კომუნისტთა მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელმაც საკუთარ დამოუკიდებელ სახელმწიფოს უღალატა.

**— ის, რაც თეფშების დაყადაღებასთან დაკავშირებით საქართველოში ხდება, აღმოსავლეთ ევროპის ან რომელიმე პოსტსაბჭოთა ქვეყანაში რომ მომხდარიყო, აშშ-ისა და ევროკავშირის რეაქცია საკმაოდ მკაცრი იქნებოდა. გასული კვირის ბოლოს ევროკავშირისა და აშშ-ის ელჩებმა ხელისუფლებისგან „მასტ ქერის“ მოქმედების ვადის გაგრძელება ლამის კატეგორიულად მოითხოვეს, მაგრამ ანტენების დაყადაღების თემაზე არც უსაუბრიათ. ეს მაშინ, როცა იურიდიულ საკითხებში კომპეტენტურობით გამორჩეული არასამთავრობო ორგანიზაციები ანტენების დაყადაღებას ერთმნიშვნელოვნად უკანონოდ მიიჩნევენ. თქვენი აზრით, რას შეიძლება ნიშნავდეს დასავლეთის მხრიდან „თეფშების ომთან“ დაკავშირებით დუმილი?**

— ნება მომეცით კითხვითვე მოგმართოთ: რომელი მხარე უფრო პოლიტიკური გამოცდილების მქონეა — ქართული არასამთავრობოები თუ ევროკავშირისა და აშშ-ის დიპლომატიური კორპუსები, რომლებიც თავიანთი სახელმწიფოების მთავრობებს წარმოადგენენ? პირადად მე, უფრო უკანასკნელთა პოლიტიკურ ინტუიციას გავითვალისწინებდი. რადგან ეს უკანასკნელნი სდუმან, ე.ი. ისინი რაღაც საფრთხეს ხედავენ ჯერ გაურკვეველი საგარეო ორიენტაციის მქონე ერთი ბიზნესმენის მიერ ინიცირებული სატელევიზიო თეფშებით საქართველოს „ოკუპირებაში“.

**— თუ სწორად გავიგე, თქვენი ლოგიკა ასეთია - ვიდრე ქვეყანას საგარეო საფრთხეები აქვს, საქართველოში მეტ-ნაკლებად სრულფასოვან დემოკრატიასა და გახსნილ საინფორმაციო სივრცეზე საუბარი ნაადრევია?**

— გმადლობთ, ამაზე ზუსტად მეც გამიჭირდებოდა საკუთარი პოზიციის ფორმულირება. მე ისტორიკოსი ვარ და ჩემი უმთავრესი ბარომეტრი მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზის დროს ისტორიული და თანამედროვე ანალოგებია. სამ მარტივ მაგალითს გავიხსენებ, შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან:

1801 წელს რუსეთის მონარქისტული იმპერია საქართველოში ორიენტაციული პროგრესის დროშით შემოვიდა და შედეგად დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა წაგვართვა;

1921 წელს რუსეთის სოციალისტური იმპერია საქართველოში სოციალური პროგრესის დროშით შემოვიდა და შედეგად დამოუკიდებლობა წაგვართვა;

1992 წელსაც რუსეთის ამჯერად დემოკრატიული იმპერია საქართველოში დემოკრატიის დროშით შემოვიდა და შედეგად კანონიერი ეროვნული ხელისუფლება დაამხო. აი, რა გამოცდილებას გვთავაზობს ისტორია. იგი უბრალოდ გვაფრთხილებს, რომ სოციალური, დემოკრატიული და ორიენტაციული პროგრესის დროშის ფრიალს მიღმა თითქმის ყოველთვის ისმის დიდი იმპერიის ფშვინვა და ეს უნდა გვესმოდეს. რაც შეეხება სრულყოფილ დემოკრატიას, დამისახელოს ვინმემ ჯერ თუნდაც ერთი ქვეყანა მაინც, რომელიც საქართველოს მდგომარეობაშია და დავიჯერებ, რომ ასეთ ქვეყანაში სრულყოფილი დემოკრატია შესაძლებელია.

**— „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს რაიონებში კოალიციიდან დეპუტატობის მაჟორიტარი კანდიდატები დაასახელა. მათ შესახებ ურთიერთგამომრიცხავი შეფასებები გაკეთდა. ზოგმა გაკეთებული არჩევანი კოალიციის სტრატეგიის თავისებურებად მიიჩნია, ზოგმაც — სხვადასხვა იდეოლოგიის ადამიანთა მექანიკურ გაერთიანებად. თქვენზე რა შთაბეჭდილება დატოვა „ქართული ოცნების“ დეპუტატობის მაჟორიტარ კანდიდატთა სიამ?**

> **ის, რაც თეფშების დაყადაღებასთან დაკავშირებით საქართველოში ხდება, აღმოსავლეთ ევროპის ან რომელიმე პოსტსაბჭოთა ქვეყანაში რომ მომხდარიყო, აშშ-ისა და ევროკავშირის რეაქცია საკმაოდ მკაცრი იქნებოდა.**

— დეპუტატობის კანდიდატთა ნებისმიერ სიაში ყოველთვის არიან მისაღები და მიუღებელი პერსონები. მთავარია, პრინციპი, რომლის მიხედვითაც ხდება მათი შერჩევა და სიის დადგენა. კარგია სია, რომელშიც რაც შეიძლება მეტი პოლიტიკოსი, იურისტი, ეკონომისტი და ერთი სიტყვით — პროფესიონალია. ამ სიაში მივესალმები აგრეთვე დიდი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებებს და კიდევ მათ, ვინც ქვეყნის პატრიოტია. ე. ი. ასეთი პრინციპი მივიღეთ — პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობა, პატრიოტიზმი.

**კობა ბენდელიანი**

საქართველო დაემსგავსა ბრძოლის ველს, სადაც მეომართა ნაწილი დაილუპა, ხოლო გადარჩენილები მტრის მხარეზე გადავიდნენ და სარკინოზული დაუნდობლობით ებრძვიან თვისტომებს. ჩვენს მიწაზე გამოცხადებულია: ომი ყველასი, ყველას წინააღმდეგ. ყველანი კი ებრძვიან საქართველოს, რომელიც თითქმის დამარცხებული გვყავს. ძლიერნი ამა ქვეყნისანი, როგორც მაროდიორები, ისე ეპყრობიან „შედრეკილ-შეშინებულ" და გაძარცულ-გაპროლეტარებულ კოლხ-იბერებს.

ერს უტევს მტაცებლად ქცეული შინაური და ცხვრის ტყავმოსხმული გარეული. შეთანხმებული მოქმედებით საქართველო ჩააყენეს იმ ქვეყანათა რიგში, რომელთაც ბოლომდე არ აქვთ თავი დაღწეული შემგროვებლობის პრიმიტიული ფორმებისაგან. არ აქვს კულტურული ცხოვრების ელემენტარული ტრადიციები. მათი აზრით, ვდგავართ გამოქვაბულის კარებთან და ცივილიზებული სამყაროს გავლილი ათასწლეულები უმოკლეს ვადებში უნდა გავიაროთ.

საქართველოს მომავალზე მზრუნველმა „მამებმა" განვითარებადი ქვეყნის სტატუსის ფარგლებში უპირველეს ამოცანად დაისახეს ფუნდამენტური გარდაქმნები განათლებისა და მეცნიერების სფეროში. ამის მისაღწევად აუცილებელი იყო გარკვეული პირობების შესრულება, კერძოდ, კომპიუტერიზაცია და ამერიკანიზაცია (ინგლისური ენის დაუფლება). ეს პირობები ცუდი არ არის, მაგრამ არ უნდა მომხდარიყო არსებული დონისა და მშობლიური ენის უარყოფის ფონზე. ჩვენს სინამდვილეში, მეცნიერებისა და განათლების უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომელზეც არის დამოკიდებული ეროვნული ენერგიის განვითარების მომავალი, უცხოელი ჭკუისდამრიგებლების მხარდაჭერით და მონაწილეობით გადაქცეულია საექსპერიმენტო ლაბორატორიად. ამ ლაბორატორიაში წამყვანი პოზიციები უჭირავთ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც განათლებასა და მეცნიერებასთან კონტაქტი საერთოდ არ ჰქონიათ.

რევოლუციური ხელისუფლების რევოლუციური გადაწყვეტილებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება დაეკისრათ აღნიშნულ სფეროსთან საკმაოდ შორს მდგომ პირებს (ა. ლომაიას, დ. შაშკინს). მოვლენების განვითარებამ ცხადი გახადა, რომ მოდერნიზაციის კვერთხის მფლობელ ქურუმებს, ქართული სულიერების დაცვა და განვითარება ისე აინტერესებთ, როგორც ინგლისელებს აინტერესებდათ ტასმანიელების ბედი XIX საუკუნეში.

ათი წელია, ჩვენი სამშობლო უცხოელი ჭკუისდამრიგებლების წყალობით, საჯიჯგნად და სათარეშოდ (რა თქმა უნდა, ჩვენივე პასუხისმგებლობით) გადაეცათ ანტიეროვნული ძალების ქვეშ თავშეფარებულ ახალგაზრდებს, რომლებმაც საკუთარ თავს რეფორმატორები უწოდეს. ევროპეიზაციის ნიღბით ამოხეთქილმა გაუგებრობამ კოსმიური სიჩქარით გადმოლახა ნაპირები და წალეკვით ემუქრება ეროვნულ ფუნდამენტზე დაფუძნებულ სიწმინდეებს. რევოლუციას მიკედლებული „ვირთხები და თხუნელები" ნთქავენ ყოველივე ღირებულს და სიცრუეზე აგებულ ხუხულას, ჭეშმარიტების უზენაეს საფეხურად გვიხატავენ. უშინაარსო სიტყვებისა და შეშინების ძალადობით გვიმტკიცებენ, ვუახლოვდებით ბედნიერების ნეტარ ხანას (საქართველოში ბევრი ლაპარაკი ჯერ კიდევ მიაჩნიათ სიჭკვიანის ნიშნად). თუ კარგად დავუკვირდებით ამ „ბედნიერებაში" ადამიანი არ ფიგურირებს. ნეტარება მხოლოდ ერთეულებს უღებს კარს.

რევოლუციებს ამშვენებენ მჭევრმეტყველი მონები, რომლებიც გამოგონილი პრობლემებით იხანგრძლივებენ ნეტარებით ცხოვრების დღეებს. გამონაკლისს არც „ვარდების რევოლუცია" წარმოადგენს. გუნდის სახელით მოქადაგე მჭევრმეტყველები მაქლარი მონების შთაბეჭდილებას ტოვებენ. მსგავსი კატეგორიის მონებს, მონათმფლობელურ რომში ვილიკუსები ერქვათ, რომლებიც გარკვეული პრივილეგიების სანაცვლოდ ჯოჯოხეთურ სისასტიკეს იჩენდნენ ოდესღაც თავიანთ ბედში მყოფი ადამიანების მიმართ. **ძველი მსოფლიოს ისტორიაში კარგად არის ცნობილი სიცილიის მონათა აჯანყება, მონებმა ამოჟლიტეს მონათმფლობელები და შექმნეს დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელმაც ხუთი წელი იარსება. როგორ გგონიათ, მონათა სამეფოში მონობა გაუქმდა ან შეასუსტეს? არა. ყოფილ მონათაგან წარმოიშვნენ ახალი მონათმფლობელები, რომლებიც გაცილებით სასტიკად ექცეოდნენ მონებს, ვიდრე ადრინდელი მონათმფლობელები.**

**რევოლუციას არ უყვარს ადამიანი (გინდა ვარდებისა დაარქვი და გინდა იებისა. მას არც თავისი შვილები უყვარს).** მის სასიცოცხლო მოთხოვნილებას შეადგენს სისხლი. მრავალთაგან ერთს დავასახელებ: საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ გილიოტინაზე აიყვანა გენიალური მეცნიერი ანტუან ლორან ლავუაზიე. მოსამართლემ სიკვდილმისჯილის მისამართით მოკლედ თქვა: „რევოლუციას არ სჭირდება გენიოსები". ციცერონმა საუკუნეებს დაუტოვა ბრძნული სიტყვები: ისტორია არის ცხოვრების მასწავლებელი. ამ მასწავლებლისგან სწავლას სწავლა რომ სჭირდება, ძალიან ცოტას თუ აქვს შეგნებული.

რევოლუციის მედროშეების აზრით, საქართველოს უბედურების სათავე არის მის გაუნათლებლობაში. მცოდნე თუ არამცოდნე, კანონმდებელი თუ ჩინოვნიკი, ენამზეობდა და ენამზეობს ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან მიახლოების ლოზუნგებით და, რაც მთავარია, მიაგნეს საიდუმლოს: კომპიუტერისა და ინგლისური ენის არცოდნას (სხვა უცხო ენა მათთვის არ არსებობს).

ქართული განათლების ბედის უკუღმა ტრიალი დაიწყო მაშინ, როცა მწიგნობართუხუცესმა გვაუწყა წიგნის ეპოქის დამთავრება და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა სკოლას, უნივერსიტეტს, მეცნიერებას (ამ შეუდრეკელმა ჩინოსანმა ცეცხლითა და მახვილით მოაგვარა ქართველთა სწორ გზაზე დაყენების საკითხი, იგივე ქართველები სხვა მიმართულებით წარმართა და დიდი ტრაგედიაც დაგვატეხა თავს. გვახსოვს მისი რიხიანი სიტყვები ცხინვალის მისადგომებთან).

ა. ლომაიასა და დ. შაშკინის განათლების ევროპეიზაციის პოლიტიკის ამოსავალი იყო კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომლის თანახმადაც ახალგაზრდამ სამშობლოში კი არა, სხვა ქვეყნებში უნდა ეძებოს საარსებო საშუალება. ამისთვის აუცილებელია ინგლისური ენის ცოდნა. საქართველოში კი ნებისმიერი ერის წარმომადგენელს (იგულისხმება, რომ ინგლისური იცის) გზა ხსნილი ექნება. ეს არის ქართული საგანმანათლებლო სისტემის „ეროვნული" პოლიტიკა. თანამედროვე სამეცნიერო ტექნოლოგიების ღრმად დაუფლებული მწიგნობართუხუცესები წლების განმავლობაში არწმუნებენ ქართველებს, რომ ევროპული სტანდარტების შესაბამის განათლებას სამშობლოში ვერ მიიღებდნენ (ეს ყველა ქვეყანაში ასეა, მაგრამ არც ერთი ქვეყნის განათლების მესვეურები მსოფლიოს გასაგონად არ ყვირიან) და ამ გზით ხელს უწყობენ ეროვნული ცნობიერების დაჩლუნგებას.

ქართული საუნივერსიტეტო განათლების მესაფლავის სამგლოვიარო გვირგვინს ა. ლომაიას ვერავინ შეეცილება, არანაკლები „ღვაწლი" მიუძღვის სკოლის დანიშნულების არარაობად ქცევაში დ. შაშკინს. მისმა ამბიციურმა და ყველაფრისმცოდნეობის პრეტენზიებმა სკოლა, როგორც ცოდნის შეძენის დაწესებულება, სიკვდილის პირას მიიყვანა (თუ უკვე არ მოკლა).

ქართული განათლების რეფორმების „მამებს" საერთოდ არ გახსენებიათ, რომ განათლების პრობლემას უნდა არკვევდეს განათლებული ადამიანი. ნახევრადგანათლებულებისა და ტაშის დამკვრელების მოქმედებამ რა შედეგიც მოიტანა, კარგად ჩანს.

სკოლას სასკოლო დანიშნულებას უკვეცავენ და რაღაც გაუგებარ სამოსელში გამოწყობას უპირებენ. გაუმართავი სახელმძღვანელოებით ცოდნის მიღება მინიმუმამდე შემცირდა. გამოცდების გადატან-გადმოტანით, ხან დანიშვნით ან მოხსნით, ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ახალგაზრდებს თავიდანვე უბნევენ გზა-კვალს. ყოველივე ამის მიზანი ერთია, მოსწავლემ გული აიცრუოს სწავლაზე, მცირე განათლების მქონე ხომ ადვილად სამართავია. ეს ლახვარია ქართველი ბავშვების ნათელი გონებისათვის, რომლის დაჩლუნგებასაც ცდილობენ „პატრიოტი" რეფორმატორები.

დ. შაშკინმა გადატრიალება მოახდინა პედაგოგიკაში. მისი დამაჯერებელი მტკიცებებით, სკოლა არის დამნაშავეთა სამჭედლო და ჩანასახშივე უნდა მოხდეს ბოროტების ამ კერის ლიკვიდაცია. თუ გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე მსოფლიოში ყველა კატეგორიის დამნაშავენი ოდესღაც სკოლაში სწავლობდნენ, მინისტრის ლოგიკაში სრული ჭეშმარიტებაა (ოღონდ პიგმეები უნდა გამოვაკლოთ, რადგან პიგმეებს სკოლა არ აქვთ და ავაზაკობას, ალბათ, საკუთარი მამები ასწავლიან).

**სკოლა ფართო მასშტაბის კრიმინალურ ორგანიზაციად რომ არ გადაიქცეს, საქართველოს მომავლის აღზრდის ფუნქციები შეეზღუდათ (თუ შეეკვეცათ) სკოლის მასწავლებლებს და გადაეცა „ვარდების რევოლუციის" ეპოქალურ აღმოჩენას – მანდატურთა პოლიციურ კორპუსს. ისმის კითხვა: რა პედაგოგიურ მონაცემებს ფლობენ მანდატურები? რატომ ხდება პოლიციაში გავლილი კურსების სერტიფიკატით აღჭურვილი ახალგაზრდა უპრობლემოდ მთავარი ფიგურა სკოლაში? მინისტრი სიამაყით აცხადებს, რომ მანდატურების მეშვეობით აღმოფხვრიდა დანაშაულს. თუ რა ითვლება დანაშაულად, ამის შესახებ არავის არაფერი უთქვამს (მეხუთე-მეექვსეკლასელების ჩხუბი თუ დანაშაულია, მაშინ იმ ბავშვებმა რა თქვან, როცა არანაკლებ ჩხუბსა და მუშტების ქნევას ხედავენ საქართველოს პარლამენტში?)**

ქართული სკოლა მოსწავლეზე რომ არ არის ორიენტირებული, ერთმა მეტად სამწუხარო ფაქტმა გამოავლინა. 15 წლის ბიჭი, მეგობრის დაცვისათვის დირექტორმა სკოლიდან გარიცხა. ამბავი გახმაურდა. საკითხის განხილვა რამდენიმე თვე მიმდინარეობდა (კამათში მონაწილეობდნენ: პრეზიდენტი, მინისტრი, სკოლების აქტიური დირექტორები). საქმე სასამართლომდე მივიდა. საბოლოოდ ხულიგნის ეპითეტით შემკული ახალგაზრდა რომელიღაც სკოლაში აღადგინეს (არ უნდა გაგვიკვირდეს: ამ ხელისუფლებამ 15 წლის ბიჭი კი არა, 70-81 წლის პროფესორები გაასამართლა ხულიგნობის ბრალდებით.

მანდატურებს არავითარი უსაფრთხოება არ შეუტანიათ სკოლებში. ისინი არა იმდენად მოსწავლეების, რამდენადაც მასწავლებლებზე სამეთვალყურეოდ არიან გამიზნულნი. როგორც ჩანს, ამ საქმეს პროფესიულ დონეზე ასრულებენ.

განათლების რეფორმის ორიგინალურ გზას წარმოადგენს ინგლისური ენის სწავლება ქართული ენის დაკნინების ხარჯზე. ბავშვს, რომელიც გამართულად მშობლიურ ენაზე ვერ ლაპარაკობს, აწყებინებენ ინგლისურს და ამ მიგნებით თავს იწონებენ. მიზნის მისაღწევად დაიწყო ვოიაჟები ინგლისურენოვან ქვეყნებში ხელგაწვდილი ვედრებით: გვიშველეთ, სიბნელეში ვიხრჩობით, დაგვეხმარეთ, რომ სინათლეში გავიდეთ, იმდენად ღრმად შეიჭრნენ, რომ ცოტა მოერიდათ და შეიმუშავეს ლოზუნგი შინაური მოხმარებისათვის, „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად". მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურნენ თავიანთ სამშობლოში უმუშევარი და ხელმოცარული ადამიანები, რომელთა დიდ უმრავლესობას პედაგოგობასთან არც კავშირი აქვთ და არც პრეტენზია ჰქონიათ. როცა დრო დაუდგათ, თავიანთი უპირატესობა (ინგლისურის ცოდნა ხომ ყველაფერს ნიშნავს ნაციონალების გაგებით) მაშინვე გამოიყენეს და მოირგეს მასწავლებლის მუნდირი. ქართველებიც ღირსეულად ვასრულებთ სტუმართმოყვარეობის დაკანონებულ წესებს და სამშობლოში დაბრუნებულ განმანათლებლებს სახსოვრად გავატანთ რამდენიმე ქართულ სიტყვას (ხინკალი, ყანწი, ჩაქაფული, ჩახოხბილი და სხვა).

უცხოელ მასწავლებელთა მოწვევის ფონზე ცინიკურად გამოიყურება ვარდოსანთა მოჩვენებითი ზრუნვა ქართველ ემიგრანტთა შვილებისადმი. რეალობას ობიექტურად თუ შევხედავთ, ვინ აიძულა ეს ბავშვები მოწყვეტოდნენ მშობლიურ მიწას? ხელისუფლებამ იმით კი არ უნდა იკეკლუცოს, რომ ხელს უწყობს გაურკვეველი სტატუსის საკვირაო სკოლების გახსნას, არამედ იმაზე უნდა იზრუნოს, რომ იძულებით გადაკარგულ ამ ბავშვთა მშობლებს შეუქმნას საქართველოში დაბრუნების პირობები. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერც ერთი საკვირაო სკოლა უცხოეთში მყოფ ბავშვს ეროვნული სულით ვერ გაზრდის. ბავშვმა, რომელიც მთელი კვირა უცხოურ სკოლაში სწავლობს, უნდა შეასრულოს იმ ქვეყნის სკოლებში დაკანონებული სასწავლო პროგრამები. ერთი დღე მშობლიური ენისათვის იმდენად მცირეა, რომ მისი ნაყოფი მხოლოდ თავის მოტყუების დონეზე შეიძლება შეფასდეს.

პატარა ქართველები, თუ ცხოვრება უცხოეთში დიდხანს გაგრძელდა, ასიმილაციის ტალღას ვერ გაუძლებენ და შეუერთდებიან იმ ერს, რომელშიც მოხდა მათი ჩამოყალიბება (საკვირაო სკოლები ვერ უშველით). საარსებო საშუალებათა მაძიებელ მათ მშობლებსაც ვერ მოვთხოვთ შეინარჩუნონ პატრიოტული სიმტკიცე, რომ თავიანთი ნაშიერები არ დაუკარგონ საქართველოს. არსებობისათვის ბრძოლაში ეს მათთვის ზედმეტი ტვირთი იქნება. კითხვა რომ შემოგვიბრუნონ, რას ვუპასუხებთ? განა აქაც პირველი კლასიდანვე არ ვაწყებინებთ ინგლისურს? უცხოეთში ყველაფერი ბუნებრივად ხდება. ეს სინამდვილე და კაზმულსიტყვაობა, რომლითაც ჩვენი საგანმანათლებლო ხელისუფლება ატყუებს ერს, ამ მოგონებების სფეროს დარჩება. გაჭირვების გზით იძულებით გადახვეწილებს კი არა, 1921 წელს განდევნილ ინტელექტუალებსაც გაუჭირდათ მშობლიური ენის გადაცემა თავიანთი შთამომავლობისთვის. საკვირაო სკოლებით ქართული სულის შენარჩუნების მცდელობა, ჰიბრიდული სიმინდის მოსავლით გამდიდრების შთაბეჭდილებას ტოვებს.

მსოფლიოში მიმოფანტული ქართველი ახალგაზრდების შვილებში ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნების როლს საკვირაო სკოლები ვერ შეასრულებენ. არ შეიძლება არ გავიხსენოთ დიდი ბერძენი ისტორიკოსის ქსენოფონტის ჩანაწერი (ძვ. წ. V საუკუნის მიწურული): მაკრონების ქვეყანაში შესვლისას მას წარუდგა მოქირავნე-მეომარი და უთხრა, „მე ვფიქრობ, ეს ჩემი სამშობლოა". ასეთი ბედი ელით სხვა ქვეყნის სამსახურისათვის განწირულ ჩვენს პატარა ქართველებს. ამას სჭირდება სერიოზული დაფიქრება და უსერიოზულესი მიდგომა და არა განათლებისა და დიასპორის მინისტრების ყელყელაობა თანამემამულეებზე ზრუნვის ხაზგასმით.

მრავალ კითხვათაგან გამოვყოფთ ერთს: რა კავშირი აქვს იუსტიციის სამინისტროს განათლებასთან, სკოლის დამთავრების დამადასტურებელ ატესტატს რომ გასცემს?

პრობლემებს ვუყურებთ ზერელედ. განსჯის უნარიც არა გვაქვს წესრიგში. ოვაციებით ვხვდებით ინკვიზიტორთა ბანაკიდან გამოქცეულებს (ზ. ნოღაიდელი, ნ. ბურჯანაძე, ი. ოქრუაშვილი), ვაჯილდოებთ გმირობის სიგელებით, იმას კი არ ვითვალისწინებთ, როგორი საქმიანობით გამოირჩეოდნენ ისინი, ხელისუფლების უმაღლეს საფეხურზე რომ იდგნენ. მათ რიგებს ახლახან შემატა განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრი, გამოცდების ეროვნული ცენტრის მშობელი „დედა" მ. მიმინოშვილი. იგი მთელი მონდომებით ამართლებდა ნაციონალების „რეფორმისტულ" ნოვაციებს. როცა უნივერსიტეტებს და სხვა „დრომოჭმულ" სასწავლო თუ სამეცნიერო კერებს აცამტვერებდნენ, მ. მიმინოშვილი ამაღლებული პოზიოროზით ჭრიდა და კერავდა რეზუსებს, მაგრამ ჭრა-კერვაში ახალი თარგის ჩართვა რომ დაავალეს, პროტესტის გრძნობა გაუჩნდა და დაიწყო ჩადენილ დანაშაულთა ალიარება (არ უნდა დავივიწყოთ მისი შვილის ჩაჭრა გამოცდაზე და პრეზიდენტის მადლობა). როგორც ა. ლომაიასა და დ. შაშკინის თანამებრძოლს მ. მიმინოშვილს თვალსაჩინო როლი მიუძღვის განათლების გაუფასურებასა და საერთო დონის დაქვეითებაში. და როცა დასანგრევი არაფერი დარჩა, ხმაურით გამოიჯახუნა მის მიერ აგებული ციხესიმაგრის კარი, რათა გმირის მანტიის მოსხმის იმედით ჩადგეს სიმართლის მთქმელთა რიგებში.

მრავალ უბედურებათა შორის „ბედნიერი ერის" შვილები დაავადებული ვართ ერთი მეტად საქრახისი სენით: დღევანდელი კვერცხი გვირჩევნია ხვალინდელ ქათამს. კაცი, კვერცხს რომ ჩაიგდებს ხელში, ვიდრე არ შეჭამს, არაფერი აინტერესებს. ქუჩაში წაქცეულს ისე გადაუვლის, ზედაც არ შეხედავს. ამ საყვედურის ობიექტად ვთვლი იმათ, რომლებსაც შეუძლიათ დახმარება აღმოუჩინონ მოძმეს, მაგრამ თითს თითზე არ დააკარებენ, რათა რეპუტაცია არ შეელახოთ ძლიერთა ამა ქვეყნისათა წინაშე.

# დამოკლეს მახვილი

**ერს უტევს მტაცებლად ქცეული შინაური და ცხვრის ტყავმოსხმული გარეული. შეთანხმებული მოქმედებით საქართველო ჩააყენეს იმ ქვეყანათა რიგში, რომელთაც ბოლომდე არ აქვთ თავი დაღწეული შემგროვებლობის პრიმიტიული ფორმებისაგან. არ აქვს კულტურული ცხოვრების ელემენტარული ტრადიციები. მათი აზრით, ვდგავართ გამოქვაბულის კარებთან და ცივილიზებული სამყაროს გავლილი ათასწლეულები უმოკლეს ვადებში უნდა გავიაროთ.**





**საქართველოს ცაზე მუდამ დამოკლეს მახვილი ეკიდა. ქუა უძლებდა სიმძიმეს. დღეს ცრუ პატრიოტთა „პატრიოტობით" ქუა წვრილდება და შეიძლება, მახვილთან ერთად ცაც თავზე ჩამოგვემხოს.**

**გრანი ქავთარია**

## საერთაშორისო გამჭვირვალობა

# ბიუჯეტი — არჩევნებისთვის და არჩევნები — ხელისუფლებისთვის, რომელსაც მოქალაქე ვერ ამჩნევს

**მართალია, ყოველ არჩევნებზე ერთი და იგივე მეორდება — ხელისუფლება საბიუჯეტო სახსრებს წინასაარჩევნო კამპანიისთვის მიმართავს, მაგრამ ამჯერად ძალიან ზედმეტი მოსდით. მთელი სახელმწიფო ბიუჯეტი არჩევნების დღეს „5“-ანის შემოხაზვისაკენ არის მიმართული.**

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ გამოაქვეყნა ახალი ანგარიში სახელწოდებით: **„სახელმწიფო სახსრების საარჩევნო მიზნით ხარჯვა“.** კვლევაში აღნიშნულია, რომ საჯარო ფინანსების ხარჯვის ტენდენციები საარჩევნო წლებში განსხვავებულია — სახელმწიფო ბიუჯეტი უფრო მეტად სოციალური, მოკლევადიანი დასაქმებისა და სხვა ტიპის პოპულისტური პროექტების შესრულებაზეა ორიენტირებული. ამ მხრივ არც 2012 წელია გამონაკლისი.

როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა ეკა გიგაურმა განაცხადა, ბოლო ხანებში ხშირად ისმის, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საარჩევნო მიზნებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებს იყენებს. ამ საკითხის შესწავლაც სწორედ ამიტომ გადაწყდა.

**„სახელმწიფო ბიუჯეტი ნაკლებად არის გაწერილი. ამიტომაც დიდია იმის რისკი, რომ ის მმართველმა პარტიამ სათავისოდ გამოიყენოს“,** — აღნიშნა ეკა გიგაურმა.

ანგარიშის ავტორთა მოსაზრებით, 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზმა სისტემური ხარვეზებიც გამოავლინა, რაც სახელმწიფო ფინანსების საარჩევნო მიზნით ხარჯვას უწყობს ხელს. კერძოდ, ბიუჯეტი საკმარისად დეტალიზებული არ არის, რის გამოც ხანდახან გაუგებარია თუ როგორ იხარჯება გარკვეული თანხა. ეს განსაკუთრებით სარეზერვო ფონდების ხარჯვას ეხება.

როგორც პროექტის ხელმძღვანელმა ნინო ხატისკაცმა განაცხადა, პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდები 50-50 მილიონი ლარის ოდენობისაა. თუმცა, ეს 50-მილიონიანი ლიმიტი წლის პირველ ექვს თვეში არის ხოლმე დახარჯული, შემდეგ კი ის თავიდან ივსება.

**„ეჭვი გვაქვს, რომ სარეზერვო ფონდის მოცულობა სახელმწიფო ბიუჯეტის იმ ორ პროცენტსაც აჭარბებს, რაც კანონით არის დადგენილი“,** — აღნიშნა ნინო ხატისკაცმა.

კვლევაში ასევე აღნიშნულია, რომ 2012 წლიდან ბიუჯეტში შესაბამისი პროგრამის მუხლებს შორის გადანაწილების ზღვარი 5-დან 100 პროცენტამდე გაიზარდა. ამან კი სახელმწიფო ორგანიზაციებს საშუალება მისცა თავიანთი საბიუჯეტო პროგრამების მუხლებს შორის პარლამენტის თანხმობის გარეშე თანხა შეუზღუდავად გადაანაწილონ.

**„საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზმა გამოავლინა სისტემური ხარვეზებიც, რომელიც ხელს უწყობს სახელმწიფო ფინანსების საარჩევნო მიზნით ხარჯვას. კერძოდ, ბიუჯეტი არ არის საკმარისად დეტალიზებული, რის გამოც ხანდახან გაუგებარია, როგორ იხარჯება გარკვეული თანხები, ეს კი განსაკუთრებით სარეზერვო ფონდების ხარჯვას ეხება“,** — განაცხადა ხატისკაცმა.




კვლევამ საარჩევნოდ მოტივირებული ხარჯვის კონკრეტული შემთხვევებიც გამოავლინა, მათ შორის სტუდენტთა საზაფხულო დასაქმების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 25 ათასი სტუდენტი წინასწარ შერჩეულ ორგანიზაციებში დასაქმდება და თითოეული მათგანი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 500 ლარს მიიღებს.

**„საარჩევნოდ მოტივირებული ხარჯვის კონკრეტულ შემთხვევებს წარმოადგენს პროფესიული განათლების 1000-ლარიანი ვაუჩერების დარიგება სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის, ხანდაზმულობის პენსიის 25-პროცენტიანი ზრდა, დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის 100 პროცენტზე მეტით გაფართოება, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების დაფინანსების უპრეცედენტო — 309-პროცენტიანი ზრდა მაისის საბიუჯეტო ცვლილებებით, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ 2012 წლის ზაფხულში დაწყებული პროექტი „ლიდერი 2012“, რომლის ფარგლებშიც საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები უფასოდ მიჰყავთ საკურორტო ქალაქ ანაკლიაში და ტრენინგებს უტარებენ. გავრცელებული ინფორმაციით, ეს პროგრამა 80 ათას სტუდენტზეა გათვლილი და სტუდენტური თვითმმართველობების და „ნაციონალური მოძრაობის“ ორგანიზებით ხორციელდება“,** — აღნიშნა ხატისკაცმა.

ამ ინიციატივების უმეტესობა ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე იწყება. ეს კი დიდი ალბათობით წინასაარჩევნოდ სახელმწიფო ფინანსური რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენებას უკავშირდება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ ხელისუფლებას მეტი პასუხისმგებლობისკენ მოუწოდებს და ასევე ურჩევს საქართველოს მთავრობას, თავი შეიკავოს საბიუჯეტო სახსრების ისეთი პროგრამებისთვის გამოყენებისგან, რომლებიც საარჩევნო მოტივირებულად აღიქმება.

**„მიგვაჩნია, რომ რეალურ პროგრამულ ბიუჯეტირებაზე გადასვლა მნიშვნელოვნად შეამცირებს ბიუჯეტის საარჩევნო მიზნით ხარჯვას“,** — აღნიშნა ნინო ხატისკაცმა.

უწყებათაშორისი კომისია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ანგარიშში დაფიქსირებულ ფაქტებს შეისწავლის. როგორც ჟურნალისტებს კომისიის წევრმა თამარ კინწურაშვილმა განუცხადა, კომისიისთვის მნიშვნელოვანი და საყურადღებოა არასამთავრობო სექტორის ნებისმიერი ანგარიში, თუმცა, თამარ კინწურაშვილი „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ დღევანდელ ანგარიშში არსებულ გარკვეულ უზუსტობებზეც საუბრობს.

მისი აზრით, ეს ეხება სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლების 1000-ლარიანი ვაუჩერებით დაფინანსებას, რაც კინწურაშვილის განმარტებით, სისტემური რეფორმის ნაწილს წარმოადგენს.

**ეკა ბაქრაძე,**
**For.ge**

## საგადასახადო კოდექსი

# ვინა ხართ და რა შემოსავალი გაქვთ, გოგო-ბიჭებო?

**ერთი ქართველი მწერლისა არ იყოს, ლექტორს მიაჩნდა, რომ საგანი ფრიადზე სახელმძღვანელოს ავტორმა იცის, ოთხიანზე — თავად, სტუდენტები კი სადღაც ორიანსა და სამიანს შორის „ჭყუმპალაობენო“. ჩვენი საგადასახადო კოდექსის ამბავიც ასეა: სულ წლინახევრის წინათ ამოქმედებულ ამ უმნიშვნელოვანეს ფისკალურ დოკუმენტში უკვე იმდენი ცვლილებაა შეტანილი, რომ „სტუდენტი“ კომპანიები მათ ხეირიანად შესწავლას კი არა, ელემენტარულად გაგებასაც ვერ ახერხებენ, რასაც მაინცდამაინც ვერც ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის „ლექტორები“ დაიტრაბახებენ.**

თუ საგადასახადო კოდექსში ცვლილებათა საშუალო ტემპს ვიანგარიშებთ, რომელთა რიცხვმა მარტო წლეულს ასს გადააჭარბა (!), ფაქტობრივად გამოდის, რომ ყოველთვიურად მასში დაახლოებით 15 შესწორება შედის, რომლებსაც, ბუნებრივია, მეწარმეთა მიერ გაანალიზება, სათანადო მომზადება და, ბოლოს და ბოლოს, შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა სჭირდება. ამ ბოლო გარემოებას ყურადღებას განსაკუთრებით იმიტომ ვაქცევთ, რომ ახლახან საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი შესწორების შესრულება მეწარმეთათვის კიდევ ერთ დამატებით ხარჯთან იქნება დაკავშირებული. ახალი შესწორების თანახმად გადასახადის გადამხდელმა მასში ბოლო ექვსი თვის მანძილზე თანამშრომელთა პირადი მონაცემები და მათი ხელფასის ოდენობა უნდა შეიტანოს. ცხადია, რომ თუ წვრილი კომპანიებისთვის, სადაც სულ რამდენიმე კაცი მუშაობს, ეს დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, საშუალო და, მით უმეტეს, მსხვილი კომპანიების საბუღალტრო და საკადრო განყოფილებებისთვის ეს საკმაოდ დიდი დატვირთვაა, ხოლო ნებისმიერ შრომას კი, მოგეხსენებათ, სათანადო ანაზღაურება სჭირდება. თუმცა ეგეც კია, რომ ჩვენი შრომითი კანონმდებლობის პატრონებს, რომელიც შინაარსობრივად უფრო შუასაუკუნოვან ბატონებისა და მოჯამაგირეთა ურთიერთობას წააგავს, ამის იმედი მუშაკს რამდენად უნდა ჰქონდეს, ძნელი მისახვედრი არ არის. ლაპარაკი უფრო იმაზე გვაქვს, რომ შემოსავლების სამსახურის თავდაპირველი მოთხოვნით ეს პირობა კომპანიებს უკვე წლის პირველი ნახევრის საგადასახადო დეკლარაციებში, ანუ მისი ძალაში შესვლიდან დროის მეტად მცირე მონაკვეთში უნდა აესახათ, რაც იმდენი მეწარმისთვის ფაქტობრივად შეუსრულებელი აღმოჩნდა და ისეთი პროტესტი გამოიწვია, რომ ქვეყნის ფისკალური სამსახური იძულებული გახდა უკან დაეხია და ვადა სექტემბრამდე გადაეწია.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით რამდენიმე გარემოებაა საყურადღებო. პირველ მათგანზე ადრეც არაერთხელ გვილაპარაკია: ახალი საგადასახადო კოდექსის მიღებიდან გასულ თვრამეტ თვეში მასში იმდენი ცვლილებაა შეტანილი, რომ გინდა, არ გინდა, კაცმა ან მის ავტორთა კომპეტენტურობაში უნდა შეიტანო ეჭვი, ანდა ეს ცვლილებათა ქვეყნის შიდა პოლიტიკურ სივრცეში მიმდინარე მოვლენებზე მორგების მორიგ მცდელობად აღიქვა. სავარაუდოა, რომ თუკი ცვლილებათა სიხშირესა და სპონტანურობას, ასევე მათ ასამოქმედებლად დაწესებულ უმოკლეს ვადებს გავითვალისწინებთ, ორივე მოსაზრება მართებულია: პირველი მათგანის სისწორეს შესწორებათა სიმრავლე მოწმობს, მეორე კი მომსახურეთა შემოსავალზე კონტროლის გამკაცრების უტყუარი ნიშანია, თორემ ვის რა შემოსავალი აქვს, ეს ნებისმიერი დიდი თუ პატარა კომპანიის საბუღალტრო დოკუმენტაციაშიც მშვენივრადაა ასახული, სხვაგვარად აბა, საშემოსავლოს და სხვა გადასახადებს როგორღა ვიხდით? კიდევ ერთი გარემოება ისაა, რომ მიუხედავად წამოყენებული წინადადებისა, საგადასახადო კოდექსში შესატან ცვლილებათა ძალაში შესვლასთან დაკავშირებით რაღაც გარკვეული ფიქსირებული დროის, ვთქვათ, რამდენიმეთვიანი ვადის დაწესებაზე ფინანსთა სამინისტრომ კატეგორიული უარი განაცხადა. ეს კი, ჩვენი აზრით, თვით ცვლილებათა შეტანის თაობაზე გადაწყვეტილებათა მიღების სპონტანურობას მიანიშნებს, რაც საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს უფრო უკავშირდება, ვიდრე ეკონომიკურ აუცილებლობას.

კიდევ ერთი, და, ჩვენი აზრით, ყველაზე ანგარიშგასაწევი მომენტი ისაა, რომ საგადასახადო კოდექსში ამდენი გაუთავებელი ცვლილების შეტანა სამეწარმეო მოღვაწეობის გრძელ ვადაზე გათვლილი სტრატეგიის დაგეგმვისთვის აშკარად ხელის შემშლელი გარემოებაა, რადგან არამდგრად ფისკალურ პოლიტიკასთან გამუდმებულ ადაპტირებას მოითხოვს. ეს კი, ბუნებრივია, ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს ქვეყანაში არსებულ ბიზნესგარემოებაზე, საგრძნობლად ამცირებს მის საინვესტიციო მიმზიდველობას. საქმე მარტო იმის ტრაბახი ხომ არაა — ჩვენში ბიზნესის წამოწყება სხვა ქვეყნებთან შედარებით ძალიან იოლიაო! მთავარი განა ის არ არის, რომ მეწარმისთვის საქმიანობა იყოს ადვილი?

**დალი ხუნდაძე**

## ინფორმაცია

### ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსება 6 000 000 ლარით იზრდება

**ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი გვინდაძემ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.**

**მისი თქმით, თანხა სამუშაოს მაძიებელთა მონაცემთა ბაზის შექმნას მოხმარდება. ჯანდაცვის ბიუჯეტში ცვლილება გათვალისწინებულია ბიუჯეტის ახალ პროექტში, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ უკვე მოამზადა და რომელიც უახლოეს პერიოდში პარლამენტში შევა.**

### დირექტორს და იურისტს ბიზნესის წართმევაში ადანაშაულებენ

**„საქართველოს ტელეკომი“ „აიეტის“ დირექტორს და იურისტს ბიზნესის წართმევაში ადანაშაულებს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ „საქართველოს ტელეკომიდან“ იტყობინებიან, საუბარია შპს „აიეტის“ დირექტორ ზურაბ ჩიგოგიძესა და ამავე კომპანიის იურისტ არჩილ თაბაგარზე.**

**კერძოდ, კომპანიის მტკიცებით, აღნიშნულმა პირებმა „საქართველოს ტელეკომს“, რომლის 100%-იან დამფუძნებელს კომუნიკაციის სფეროში ცნობილი ამერიკული კომპანია „ინტერნეიშენალ ტელსელი“ წარმოადგენს, საკუთარი ბიზნესის, შპს „აიეტის“ 85% წაართვა და 1,3 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის ზიანი მიაყენა.**

ინტერპრესი

## მწარე სინამდვილე მოთხრობად

# საჩუქრიანი ვაჭრობა



– მაგასაც იმეტებ? სახლში რაღა უნდა დაგვრჩეს? – ეს უფრო რიტორიკული შეკითხვა იყო, ვიდრე არსებითი ან საქმის ვითარების გასარკვევი, ცოლმა რომ მიმართა ირაკლის, როცა მან პორტფელში ხელის კანკალით ჩადო ოქრო-ვერცხლით მოვარაყებული მოზრდილი თასი. – პაპის პაპის ნაქონი საოჯახო რელიკვიააო, წარამარა კი გაიძახოდი.

ირაკლის კინაღამ გული გაუსკდა ბოლმით. უნდოდა ეყვირა, გაელანძღა ხათუნა. დააღო კიდეც პირი, მაგრამ როცა ცოლს შეხედა სახეში და დაინახა, რა უწყვეტ ნაკადად ჩამოსდიოდა ცრემლი ლოყებზე, ენაზე იკბინა, მძლავრად ამოიხვნეშა და მასაც ჩაუდგა წყალი თვალში.

არაფერი უთქვამს. გავიდა ოთახიდან, გაცრეცილი პრიმის კოლოფიდან ამოიღო სიგარეტი და გულით გააბოლა.

აღარ უფიქრია, რომ ეს თასი იყო უკანასკნელი ძვირფასი ნივთი, რისი გატანაც შეიძლებოდა ოჯახიდან. ის კი გაივლო გულში და, მგონი, ხმამაღლადაც თქვა:

– დაილოცა შენი მომგონი. კაცივითა ხარ და კაცივით მელაპარაკები, – და ისეთი ნაფაზი დაარტყა, მთელი სიგარეტი ერთი მოქაჩვით ჩაიყვანა ბოლომდე.

გაუჭირდა, ძალიან გაუჭირდა ოჯახს. ხელფასი – ჯერ ისედაც რა არის ორმოცდაათი ლარი (თითქმის ამდენივე კილო პურის ფულიძ, პროფესორს რომ უწყისით უნდა გადაუხადონ და იმასაც თვეობით არ უხდიან. ხათუნა და თვითონ როგორმე კიდევ გაიტანენ თავს – უხორცო, უცხიმო, უკარტოფილო, უმაკარანო და უბრინჯო წვნიანით და თითო ნაჭერი პურით. მაგრამ რა უყონ იკას, ირაკლის, ჯერ ოთხი წელიც რომ არ შესრულებია და იმას კარაქიც უნდა, ხორციც, კარტოფილიც და... კანფეტზე ვინღა ამოიღებს ხმას. მურაბითაც იოლად გაჰყავთ. ხათუნა და რძალი პედაგოგები არიან. განათლებით, რასაკვირველია, თორემ სამსახურზე ლაპარაკიც ზედმეტია. ვაჟიშვილი რაღას არ ჩალიჩობს, ხან რომელიღაც გაურკვეველი დანიშნულების ბიზნესში ჩაერთვება, ხან ერთჯერად რაიმე საქმეს აიღებს, არც მძიმე ფიზიკურ შრომას ერიდება, მაგრამ ენერგიით აღსავსე, შრომას მოწყურებული, განათლებითა და ნიჭითაც გამორჩეული ვერ ან ძლივს ახერხებს ოჯახისთვის ლუკმა-პურის შოვნას.

„რას იზამ, ეს დროს უნდა დავაბრალოთ, – ეს ირაკლის „მამაო ჩვენოს“ ლოცვასავით აკერია პირზე. – დროვე გახდება ჩვენი მკურნალიო“, – დაუმატებდა ყოველთვის პრინციპულად გაუტეხავი და მუდამ ოპტიმისტი პროფესორი.

წეღან ვთქვით, სახლიდან აღარაფერი დარჩა გამოსატანი და გასაყიდიო, მაგრამ ბოლომდე მართალი არ ვიყავით. ჰყავდათ ერთი „ცხრაასი წლის“ (ეს მისი სიტყვებიაძ მრავალჭირგამოვლილი, ფერდებშევარდნილი, „ჩლიქებდაცვეთილი“... ჟიგული, ერთ-ერთი პირველი გამოშვებისა.

და ისიც იმიტომ, რომ არავინ ყიდულობდა.

გამოიყვანა ახლა ირაკლიმ თავისი „ბედაური“ და ქალაქის ყველაზე შორეული ბაზრობისკენ გაუდგა გზას. იქ ბევრი ვინმე არც შენ გიცნობს და არც შენ იცნობ.

ეგ არა, მაგრამ, ააშენოს ღმერთმა, მისი თასის ღირსეული შემფასებელიც უმალვე გამოეცხადა და არც ფასზე უვაჭრიათ დიდხანს.

კმაყოფილ-გულდაწყვეტილი ბაზრის ტერიტორიას რომ ტოვებდა, შემთხვევით გამოსასვლელიდან იქით, შორეულ კუთხეში თვალი მოკრა ერთ, განმარტოებით მდგარ კაცს. ნაცნობმა სახემ შეაჩერა. შორიდანაც გამოიცნო ვინც იყო.

კიდევ კარგი, ნაცნობი მას არ იცნობდა. თვითონ კი როგორ შეიძლებოდა არ ეცნო – ის ხომ ქვეყნისა და ერის გამორჩეული შვილი იყო?! დიდი მეცნიერი, ღირსეული მამულიშვილი და ღვაწლმოსილი პიროვნება, გარეგნულადაც რომ უმალვე მოგხიბლავდა და მიგიზიდავდა.

წარმომავლობაც რომ დიდებული ჰქონდა!

ახლოს მივიდა. მეცნიერსა და მამულიშვილს წინ, ხის ყუთზე წიგნები – თავისი და სხვა ავტორებისა – დაეწყო, უცნობი მხატვრის მცირე ზომის ფერწერული ტილო და...

ამან შეზარა ყველაზე მეტად: ნაჭერზე იდო იმ მეცნიერის ყველაზე დიდი ჯილდო – ოქროს მედალი, რაც მისი განსაკუთრებით დიდი დამსახურებისათვის ჰქონდა მიღებული მსოფლიო ომის ერთ-ერთ გადამწყვეტ ფრონტზე.

„რა ღირსო?“ – უაზროდ შეეკითხა, რომ თავისი მისვლა გაემართლებინა, უხერხულად არ ეგრძნო თავი და არც მისთვის ეგრძნობინებინა ეს.

–..., – მეცნიერმა რაღაც ციფრი დაუსახელა, ირაკლიმ ვერც გაიგო პირველად. მერე გაიხსენა, მოგვიანებით, ქვეშეცნეულად და შეკითხვა შეუბრუნა.

– ყველა წიგნი, თუ ერთი ცალი?

– ყველა წიგნიც და ეს ყველაფერიც ერთად, – დარცხვენით უპასუხა მეცნიერმა.

– ასე იაფად?!

მეცნიერმა მიიჩნია, რომ ეს ვიღაც გამორჩეული ვინმეა, ვინც ვერ მიცნოო და გაეხსნა წარბი:

– სამი დღეა ასე ვდგავარ და ფასიც არ უკითხავთ. იაფი, იქნებ, მართლაც არის, მაგრამ...

ირაკლიმ იმწამსვე გაიხსენა, რომ მეცნიერის მთელი ეს ავლა-დიდება და მისი თასი ერთი ფასისა ყოფილა.

– მე ავიღებ.

ირაკლიმ ცელოფანის პარკში ჩააწყო ყველაფერი, დაუთვლელად გადასცა მეცნიერს თავისი თასის საფასური, რომელიც არც მეცნიერს დაუთვლია.

– საით ცხოვრობთ? მანქანითა ვარ, შემიძლია გაგიყოლოთ.

არ არის საჭირო, კი იუარა მეცნიერმა, მაგრამ ირაკლიც აღარ მოეშვა. ქალაქის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში უცხოვრია მეცნიერს. მესამე სართულზე ვცხოვრობ, ხომ არ ამობრძანდებით, სახლში ბიძაშვილის გამოგზავნილი ჭაჭა მაქვსო, – ნახევრად ყასიდად შეეკითხა დამშვიდობებისას.

ირაკლი სახლში არ წასულა. ნახევარი საათი იდგა სახლის მოშორებით. მერე ცელოფანიდან ამოიღო მხოლოდ ერთი წიგნი, რომლის ავტორიც თვით ის მეცნიერი იყო, ჩადო მანქანაში და პარკიანად ავიდა მესამე სართულზე.

მეცნიერის სართულის მოედანზე მოპირდაპირე ოჯახის ღილაკს დააჭირა ხელი.

– ჩემი მეგობარია ბატონი მეცნიერი, – უთხრა ბინიდან გამოსულ დიასახლისს ირაკლიმ. – ჩემთან დარჩა ეს პარკი და, თუ შეიძლება, ერთი ათი წუთის შემდეგ გადაეცით. მას რომ დავურეკო, ვიცი, არ მომეშვება, შეწუხდება და არ მინდა.

ირაკლი დაბრუნდა თავის მანქანაში, ჩართო ძრავი და ახლა იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ რა უნდა ეთქვა საკუთარ ოჯახში.

**ზურაბ ლომიძე**

## რკინიგზა

# ინფრასტრუქტურის მიღმა მოსახლეობაა

**იმ თითზე ჩამოსათვლელ დარგებს შორის, რომლებიც საქართველოში წარმატებული არიან და ეკონომიკის მოწინავეთა რიცხვში ადგილი მკვიდრად უკავიათ, უდავოდ სატრანსპორტო სფეროა, განსაკუთრებით კი მისი სარკინიგზო ინფრასტრუქტურა.**

სტატისტიკური მონაცემებით, ბოლო წლებში საქართველოს რკინიგზის თვითღირებულებაც და მგზავრთა გადაზიდვის მაჩვენებელიც განუხრელად იზრდება, რასაც, ერთი მხრივ, ხელს უწყობს განვითარებული ინფრასტრუქტურა, მეორეც – ქვეყნის სატრანსპორტო დერეფნის ფუნქცია. ეს კი, თავის მხრივ, დარგის ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წამახალისებელი ფაქტორია.

ამჟამად სააქციო საზოგადოება „საქართველოს რკინიგზა“ წლევანდელ აპრილამდე არსებული ამავე სახელწოდების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართალმემკვიდრეა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. საზოგადოების ერთი ფორმის მეორეთი შეცვლა სათანადოდ აისახა სამეწარმეო რეესტრში, გარდა ამისა დამტკიცდა შიდა წესდების ახალი რედაქცია. სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის შემდგომი, „საქართველოს რკინიგზის“ წესდებული კაპიტალი მილიარდ 49 მილიონ 751,2 ათასი ლარია, რომელიც ამავე ოდენობის ჩვეულებრივ (არსებობს კიდევ პრივილეგირებული – ავტ.ძ აქციადაა დაყოფილი, რომელთა ნორმალური ღირებულებაა ერთი ლარი. 2012 წლის 12 აპრილისთვის, ანუ საზოგადოების ფორმის შეცვლის დღისთვის, „საქართველოს რკინიგზის“ აღნიშნული ოდენობის კაპიტალის 76 პროცენტის მფლობელი სახელმწიფო იყო, ხოლო დანარჩენი 24 პროცენტის – სს „საპარტნიორო ფონდი“.

საყურადღებოა, რომ გლობალური ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგებით, რომელმაც მსოფლიოს 132 ქვეყანა მოიცვა, ხარისხით საქართველოს სარკინიგზო ინფრასტრუქტურა 36-ე ადგილზეა, რითაც ევროპისა და ამერიკის მრავალ ეკონომიკურად უფრო განვითარებულ ქვეყანას, მაგალითად, ბრაზილიას, უნგრეთს, თურქეთს, საბერძნეთს და სხვ. უსწრებს. ეს გარემოება, ცხადია, თავისთავად სასიამოვნოა და სასიხარულო, მაგრამ ეკონომიკური სარგებლიანობის მოტანის მხრივ უფრო გამოსაყენებელი პოტენციალის მიმანიშნებელია, რომელსაც ჯეროვნად, გონივრულად გამოყენება უნდა ქვეყნის საკეთილდღეოდ. თორემ სარკინიგზო ტრანსპორტს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა რომ აქვს, ამას არც ბევრი მტკიცება სჭირდება და ახალი ინფრასტრუქტურული პროექტებიც მოწმობს, რომლებიც ამჟამად განხორციელების სტადიაშია.

კერძოდ, „საქართველოს რკინიგზის მოდერნიზების პროექტი“ ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული მთელი სარკინიგზო მაგისტრალების სრულ განახლებას – ახალი ლიანდაგების დაგებას, თანმხლები ინფრასტრუქტურის, ასევე სავაგონო პარკის ერთიან განახლებას საჭიროებს, რაც მეტად მტკივნეული პრობლემაა. პროექტის დასრულება 2014 წლისთვისაა გათვალისწინებული, რის შედეგად სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვები უფრო სწრაფი და კომფორტული გახდება, ბუნებრივია, დაჩქარდება ასევე ტვირთგადაზიდვებიც.

ყოველივე ამას, კერძოდ, რკინიგზის უფრო ხარისხიანად და სწრაფად, მაშასადამე უფრო მომგებიანად გახდომას ის მნიშვნელობაც აქვს, რომ კომპანიას საღლეისოდ მილიარდ 125 მილიონი დოლარის ოდენობის ვალი აქვს, რომელსაც გარკვეულ ვადებში მომსახურება ე.ი. გადახდა უნდა. წინააღმდეგ შემთხვევაში სს „საქართველოს რკინიგზის“ აქტივები გაყიდვის საფრთხის წინაშე დადგება.

კომპანიაში იმასაც აცხადებენ, რომ დასრულდა თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობით გამოთავისუფლებული მიწების ეკოლოგიური მდგომარეობის ევროპული სტანდარტებით შესწავლა. დანიურმა საკონსულტაციო კომპანია COWI-მ 73 ჰექტარზე არა მარტო ნიადაგი, არამედ მიწისქვეშა წყლები და შენობა-ნაგებობებიც შეისწავლა. დასკვნაში აღნიშნულია, რომ საანგარიშო ტერიტორიაზე, რომელიც თბილისის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს, გარემოსთვის მავნე მასალები არ არის, მიწა მიღებულ სტანდარტებს შეესაბამება და შემდგომი ურბანული გამოყენებისთვის ვარგისია. ეგ ყველაფერი კი ასეა, ანდა საიდან უნდა ყოფილიყო იმ ტერიტორიაზე „გარემოსათვის საზიანო მასალები“, როცა ხალხს იქ ძირითადად, საზაფხულო საცხოვრისები და ბაღჩა-ბაღები ჰქონდა გაშენებული, რაშიც უმრავლესობას აშკარად არასაკმარისი კომპენსაციები მისცეს, რაზეც დავები ახლაც მიმდინარეობს? ხოლო რაც შეეხება „შემდგომ ურბანულ გამოყენებას“, ამ ტერიტორიის მეზობლად დარჩენილ მოსახლეობაში დიდი ვნებათაღელვაა იმის გამო, რომ მომავალში რკინიგზა, რომ იტყვიან „ცხვირწინ“ გაუვლით აქედან გამომდინარე ყველა ნეგატიური შედეგით. თუმცა ექსპერტთა გამოკვლევაში ამის თაობაზე არაფერია ნათქვამი.

ისე კი, კაცმა რომ თქვას, ეს არც შედიოდა ევროპელ ექსპერტთა მოვალეობაში, საკუთარ მოსახლეობაზე, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს, რომელმაც ეს, უწინარესად, თავად კომპანიას უნდა მოსთხოვოს.

**ოთარ ტურაბელიძე**

## ინფორმაცია

### იწყება ეროვნული გამოცდების შედეგების გამოცხადება

გამოცდების ეროვნული ცენტრი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გამოცხადებას იწყებს .

განათლების სამინისტროს ცნობით, გამოცდების შედეგების გაგება გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით იქნება შესაძლებელი. ამ სერვისით სარგებლობა ნებისმიერი მობილური ოპერატორის აბონენტს შეეძლება. ამისათვის მათ საგამოცდო ბარათზე წითლად მითითებული 9 ნიშნა საიდენტიფიკაციო კოდი უნდა გაგზავნონ, წელს უკვე განახლებულ ნომერზე 0 9333. მომსახურების საფასურია 50 თეთრი.

სამინისტროს ინფორმაციით, წელს, ზოგადი უნარების გამოცდაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადასალახავად აბიტურიენტს 21 სწორი პასუხი უნდა ჰქონოდა. გარდა მედიკოსის, სტომატოლოგის, ფარმაციისა და იურიდიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველებისა, სადაც ზღვარი 10%-ითაა გაზრდილი.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს პრემიერს ოპოზიციაში გადასვლა შესთავაზეს

ქართულმა ოპოზიციამ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილს შესთავაზა, გადავიდეს მოქმედი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მოწინააღმდეგეთა ბანაკში, გადმოგვცა კვირას ჩვენმა კორესპონდენტმა თბილისიდან.

„მერაბიშვილს ჯერ კიდევ აქვს შესაძლებლობა, აირჩიოს სხვა გზა, მიიღოს გადაწყვეტილება დაშორდეს ხელისუფლებას“, — განაცხადა ოპოზიციური კოალიციის „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა დავით საგანელიძემ.

მისი სიტყვებით, ამ შემთხვევაში „საზოგადოებრიობა თვალს დახუჭავს ბევრ შეცდომაზე და დანაშაულებზეც კი“, რომლებიც მერაბიშვილმა დაუშვა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ყოფნის დროს.

ოპოზიციონერს მიაჩნია, რომ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მერაბიშვილი პრემიერ-მინისტრად დანიშნა, რადგან მან არ მოინდომა გამოიყენოს ძალები ხალხის წინააღმდეგ ხელისუფლების პარლამენტის არჩევნებში დამარცხების შემთხვევაში. შეგახსენებთ არჩევნები ოქტომბრისთვის არის დანიშნული.

„ჩვენ ვემზადებით, მოვიდეთ პარლამენტში უმრავლესობით. როდესაც დაინახავს, რომ პროცესები შეიძლება განვითარდეს ასე, სააკაშვილი მოინდომებს გამოიყენოს ძალა ხალხის წინააღმდეგ“, — განაცხადა დავით საგანელიძემ.

უფრო ადრე კოალიციის ლიდერი, მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი დადებითად ახასიათებდა მერაბიშვილის მენეჯმენტურ თვისებებს.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

# „Ноев Ковчег“: „ნატოს მიერ სირიაზე თავდასხმის შემთხვევაში, რუსეთმა, შესაძლოა, სამხრეთ კავკასიაზე სამხედრო კონტროლი აღადგინოს“

როგორც გამოცემა წერს, **„ახლო აღმოსავლეთში სიტუაციის გამწვავების ფონზე რუსეთისა და საქართველოს პოლიტოლოგიურ წრეებში აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მხრიდან სირიაზე ან ირანზე თავდასხმის შემთხვევაში რუსეთის მიერ ამიერკავკასიაში შესაძლო ძალისმიერი აქციის შესახებ დისკუსიები გრძელდება. ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში გენერალ-ლეიტენანტმა იური ნეტკაჩოვმა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ამიერკვაკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის მეთაურის მოადგილე იყო, განაცხადა, რომ აშშ-ის მიერ ირანის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ომის დაწყების შემთხვევაში, რუსეთი საქართველოს გავლით სომხეთში არსებული საკუთარი ბაზებისთვის საიმედო მომარაგების გზების ძიებას დაიწყებს. ამ სიტუაციაში რუსეთს მოუწევს, ძალისმიერი მეთოდებით გაარღვიოს საქართველოს სატრანსპორტო ბლოკადა და სომხეთში მიმავალი სატრანსპორტო კორიდორები სამხედრო საშუალებებით უზრუნველყოს“.**

**„ფაქტობრივად ერთდროულად მსგავს სცენარზე ალაპარაკდნენ საქართველოშიც. ქართველი სამხედრო ექსპერტი, სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი ირაკლი ალადაშვილი აცხადებს, რომ „რუსეთმა შესაძლოა, საქართველოს გავლით სომხეთში საკუთარი ბაზების მოსამარაგებლად სამხედრო კორიდორი გახსნას და რუსეთის ჯარები მოქმედებას დაიწყებენ ახალგორის მიმართულებით, სომხეთიდან კი ახალქალაქის მიმართულებით“. ცოტა მოგვიანებით, ქართველმა პოლიტოლოგმა მამუკა არეშიძემ განაცხადა, რომ „აშშ-ის მიერ ირანზე თავდასხმის შემთხვევაში, რუსეთმა გიუმრის ბაზის უზრუნველსაყოფად, შესაძლოა, სახმელეთო სამხედრო ოპერაცია განახორციელოს“. ამ მიზნით, რუსეთის ჯარი სამხრეთი ოსეთიდან ჯავახეთის მიმართულებით, ბორჯომის გავლით კორიდორის შექმნას შეეცდება. მისივე აზრით, „ყველაფრიდან ჩანს, რომ რუსი სამხედროები ემზადებიან. ამას ემატება სექტემბერში დაგეგმილი სამხედრო სწავლება „კავკასია 2012“-იც და ამ დროისთვის რეგიონში განლაგებული 149-ე და 153-ე არმია სრულ საბრძოლო მზადყოფნაში უნდა იყოს“,** — წერს გამოცემა.

როგორც გამოცემა აღნიშნავს, საქართველოს გავლით კორიდორის შესაძლო შექმნის შესახებ პირველად 1997 წელს დსთ-ის ქვეყნების ინსტიტუტის მიერ მომზადებულ მოხსენებაში იყო საუბარი, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ „საქართველოს მიერ ანტირუსული ხაზის გაგრძელების შემთხვევაში, სომხეთისა და რუსეთის პირდაპირი კომუნიკაციის უზრუნველყოფისთვის კორიდორის შექმნა ღირდა?.

**„მსგავსი გეგმის განსახორციელებლად სამხედრო დაბრკოლება იმ წლებში არ არსებობდა, თბილისი ჯავახეთს და აჭარას, ფაქტობრივად, ვერ აკონტროლებდა. ამავდროულად, ორივე რეგიონში რუსული სამხედრო ბაზები არსებობდა და კორიდორის უბრალოდ გამოცხადება შეიძლებოდა — ამ რეგიონებში ქართულ სასაზღვრო კონტროლს საეჭვოა, ხელი შეეშალა. თუმცა საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს გამოუვიდა რუსეთის დარწმუნება იმაში, რომ საქართველო დსთ-ის ლოიალური წევრია. 15 წლის წინათ გაჩენილი იდეა რუსეთის სამხედრო ისტებლიშმენტში მუდმივად ტრიალებს. საქართველოს ოფიციალურ ხელისუფლებას, როგორც ჩანს, შექმნილი მდგომარეობის სერიოზულობა ესმის. შემთხვევითი არ არის, რომ დისკუსიაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძეც ჩაერთო, რომელმაც უკ-**



**რაინაში ვიზიტის დროს განაცხადა, რომ რუსეთი ხელსაყრელი შესაძლებლობის დროს აუცილებლად განახორციელებს „ახალ აგრესიას“ არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგაც. „ამ პოლიტიკის მიზეზი გამოიხატება იმაში, რომ კრემლი საბჭოთა კავშირის აღდგენას ცდილობს. ეს არის რუსეთის სხვადასხვა უწყების მიერ დეკლარირებული პოლიტიკური მიზანი. სამხედრო აგრესიის საფუძვლად კი შესაძლოა, რეგიონის ნებისმიერი სამხედრო-პოლიტიკური გართულება იქცეს — მთიანი ყარაბაღი, ირანი“,** — აღნიშნა ვაშაძემ. თბილისი დარწმუნებულია, რომ თუ რუსეთის არმია მაინც შევა საქართველოს ტერიტორიაზე, ეს აქცია არა სომხეთის დასახმარებლად, არამედ იმპერიის აღდგენის ინტერესებისთვის განხორციელდება“, — წერს გამოცემა, რომელიც ამავე თემაზე სამხედრო მიმომხილველის პაველ ფელგენგაუერის ცოტა ხნისწინანდელ სტატიასაც იხსენებს.

**„როგორც ავტორი თვლის, რუსეთს სირიისთვის რეალური დახმარებისთვის რესურსი არ აქვს. ამ ვითარებაში მმართველ რეჟიმს ერთი პატარა გამარჯვების მომტანი ომი სჭირდება, რათა „დასავლეთი დაამციროს“ და სირიაში წაგების გამო განცდილი საიმიჯო დანაკარგის კომპენსირება მოახდინოს. როგორც ჩანს, ვიღაცას ეჩვენება, რომ საქართველოს ამერიკული გავლენისგან გაწმენდა ერთი სწრაფი დარტყმით შეიძლება და ნატოში გაწევრებაში შუამდგომლობას შეწყვეტს. სომხეთი იქნება მყარად დაკავშირებული, აზერბაიჯანი კი არსად გაიქცევა. სამაგიეროდ, გაზსადენი და ნავთობსადენები საიმედო კონტროლის ქვეშ იქნებიან, ყარაბაღში კი რუსი სამშვიდობოები შევლენ. მოსკოვში პირადი ძალაუფლების რეჟიმი გამყარდება, აშშ კი მოკავშირეებთან ერთად, სირიითა და ირანით დაკავდება“,** — წერს ავტორი.

ამასთან, გამოცემა აღნიშნავს, რომ ამ კონტექსტში უპრიანი იქნებოდა მსოფლიო ისტორიის ისეთი მოვლენების გახსენება, როგორიც კარიბის კრიზისია. მაშინ სსრ კავშირს გაცილებით მეტი შესაძლებლობები ჰქონდა, რათა კუბას დახმარებოდა, ვიდრე ახლა რუსეთს სირიის დასახმარებლად აქვს. იმ დაპირისპირებაში სსრ კავშირმა ამერიკელები აიძულა, კუბაზე თავდაუსხმელობის ვალდებულება ეკისრათ და თურქეთიდან საკუთარი რაკეტები გაეტანათ, სანაცვლოდ კი, სსრ კავშირმა კუბიდან საკუთარი რაკეტები გაიტანა.

**„...ფასი, რომელიც დასავლეთმა, შესაძლოა, სირიაზე თავდასხმაში გადაიხადოს, ამერიკავკასიაზე რუსული სამხედრო კონტროლის აღდგენა იქნება. აქ უკვე აშშ-ის მიერ ირანის თავდასხმის შემთხვევაში, სხვა ლოგიკა დაიწყებს მოქმედებას. ირანის დასავლეთის სამხედრო კონტროლქვეშ გადასვლა რუსეთის ეროვნულ ინტერესებს საფრთხეს შეუქმნიდა. არანაირი რეალური ქვეყანა ან ტერიტორია ირანზე ასიმეტრიული გაცვლისთვის არ არსებობს და ეს მოსკოვსა და თეირანს შორის გაფორმებულ კონკრეტულ დოკუმენტებშია დაფიქსირებული. შეთანხმების თანახმად, აშშ-ის მიერ ირანში შეიარაღებული სახმელეთო შეჭრის შემთხვევაში, რუსეთს შეუძლია, ირანის ტერიტორიაზე ისევე შეიყვანოს საკუთარი ჯარები, როგორც ეს 1941 წლის აგვისტოში გაკეთდა. რუსეთის ჯარების საქართველოსა და აზერბაიჯანში სავარაუდო შეყვანა, შესაძლოა, მხოლოდ პრელუდია აღმოჩნდეს, დასავლეთის მიერ ირანის ტერიტორიის გადამწყვეტი მიტაცებისთვის მზადებაში, თუ რა თქმა უნდა, ირანი არ იქნება იმ მდგომარეობაში შეაჩეროს ან აღკვეთოს ამერიკული შეჭრა. შემთხვევით არ უთქვამს რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის ხელმძღვანელს ნიკოლაი მაკაროვს საზოგადოებრივ პალატაში გამოსვლისას, რომ რუსეთის საზღვრებთან ლოკალური კონფლიქტები, შესაძლოა, ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდოს ბირთვული იარაღის გამოყენებით. შესაძლოა, მას სწორედ მოვლენების ასე განვითარება ჰქონდა მხედველობაში? ერთი სიტყვით, რთული დღეები დგება“,** — წერს „Ноев ковчег“-ი.

მაკა ბრეგვაძე,
„პირველი“

## დედამიწის ზურგზე




ოლანდმა აღიარა საფრანგეთის ბრალეულობა საკონცენტრაციო ბანაკებში თანამემამულე ებრაელების დაღუპვის გამო

**„ანტისემიტიზმი — ეს არ არის მსოფლმხედველობა, ეს სისაძაგლეა“, — განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა მინისტრების უმრავლესობის თანდასწრებით „ზამთრის აეროდრომის ალყის“ მსხვერპლთა ხსოვნის ცერემონიაზე. 1942 წელს საფრანგეთის პოლიციამ 13 ათასზე მეტი ებრაელი დააპატიმრა ნაცისტების მოთხოვნით და გაგზავნა ისინი საკონცენტრაციო ბანაკებში.**

* * *

ირანმა გახსნა ტერორისტების ორი ქსელი, რომლებმაც მოაწყვეს თავდასხმა ბირთვული დარგის მეცნიერებზე



**ირანის ხელისუფლების ხელში აღმოჩნდა ფიზიკოსებზე თავდასხმის დაახლოებით 30 სავარაუდო მონაწილე. თეირანში დაწვრილებით არ იტყობინებიან ამის შესახებ, მაგრამ მიუთითებენ: ტერორისტების უკან უცხოეთის სპეციალური სამსახურებია. სპეცოპერაციის წარმატებული დამთავრება დაემთხვა ერთ-ერთ მეცნიერზე თავდასხმის წლისთავს.**

* * *

ასობით ავსტრალიელმა მიიღო SMS მკვლელობის დაშინებით



**ცნობის ავტორი აცნობს ადრესატებს, რომ აქვს დაკვეთა მათს მკვლელობაზე, რაც უკვე გადახდილიცაა. საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად ხალხი უახლოესი 48 საათის განმავლობაში უნდა დაუკავშირდეს ქილერს ელექტრონული ფოსტით და გადაიხადოს გამოსასყიდი 5 ათასი დოლარის ოდენობით. პოლიცია მოუწოდებს „უბრალოდ ჩამოიშორონ თავიდან“ ასეთი ცნობები.**

* * *

ერაყში ტერაქტების სერიის შედეგად 16 კაცი დაიღუპა, 50-ზე მეტი დაიჭრა

**თავდაპირველად ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა ავტომობილში, რომელიც გაჩერდა გზის პირას ქალაქ მახმუდიაში. როდესაც მომხდარი ამბის ადგილზე მივიდნენ მედიკოსები და პოლიციელები, მოხდა კიდევ ერთი აფეთქება. ამის შემდეგ ექსტრემისტებმა ააფეთქეს პოლიციის უბანი. კიდევ ორი ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა ბაღდადის სამხრეთ-აღმოსავლეთ უბანში ბაზარზე.**



თუ ამტკიცებენ, თითქოს კარიერისტი ყოფილიყოს, ლოგიკურია ვარაუდი, რომ სინამდვილეში ის არ ეძებდა მაღალ თანამდებობებს – ისინი თვით პოულობდნენ ბერიას, ამ პოსტების ღირსს.

თუ გვიმტკიცებენ, რომ ავხორცი იყო, არც ისეთი უსწორო იქნება ფიქრი, რომ ის ასკეტი გახლდათ და ყოველ შემთხვევაში, პირად მოთხოვნილებებში საკმაოდ თავშეკავებული კაცი.

და ეს ხომ, საერთოდ რომ ითქვას, ასეც იყო, პატივცემულო მკითხველო და მე შევეცდები ამის დამტკიცებას!

წიგნზე მუშაობისას ცოტა სიბინძურის გაქექვა როდი მომიწია, რაც დაგროვდა „პერესტროიკის“ ჟამის უკვე გაყვითლებულ საგაზეთო და საჟურნალო გვერდებზე, „მონოგრაფიებისა“ და „მემუარების“ გვერდებზე; თუმცა მუშაობისას სასიამოვნო მოულოდნელობებიც მხვდებოდა, როცა ვნახულობდი ბერიაზე სავსებით დადებით ცნობებს იქაც კი, სადაც, თითქოს, არასგზით არ უნდა დამხვედროდა.

ჰოდა, წიგნის წერის წიაღ სულ უკეთ და უკეთ ვიწყებდი მიხვედრას, თუ რატომ გამოძერწეს ბერიასგან მონსტრი. ვიმედოვნებ, რომ წიგნის წაკითხვისას ამგვარი მიხვედრა მკითხველამდეც მივა...

### წერილი საკნიდან

1953 წლის პირველი ივლისით დათარიღებულ ვრცელ წერილს სრულად არ მოვიყვან, თუმცა ის იმსახურებს ჩვენს სერიოზულ ყურადღებას: ერთის მხრივ, წერილი ბერიას მთელი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მუშაობის შედეგების ერთგვარ შეჯამებად იქცა, მეორეს მხრივ, კი თითქოს რაღაც პოლიტიკური ანდერძი აღმოჩნდა.

ტექსტში ბლომადაა შეცდომა, ზოგჯერ სტილიც „მოიკოჭლებს“, მაგრამ მხოლოდ გამომქვეყნებლებმა იციან, თუ სად ბერიას ეკუთვნის შეცდომები და სად იმათ, ვინც ხელნაწერი სტამბურ ტექსტში გადაიყვანა. ერთსა და იმავე ასოს წაკითხვა ხომ სხვადასხვანაირად შეიძლება; გარდა ამისა, წერილის ავტორი უეჭველად ღელავდა, რაც შეუძლებელია, რომ სტილზე არ ასახულიყო – ბერია ხომ მაინც ლიტერატორი არ გახლდათ.

წერილის ამა თუ იმ ნაწილს იქვე დავურთავ კომენტარებს, თანაც ისეთი ანგარიშით, რომ ეს შენიშვნები მიყოლებით აცნობდეს მკითხველს მაშინდელი ძველი და ჩვენთვის დღემდე არც ისე ნაცნობი ეპოქის ზოგიერთ გარემოებას.

წერილი ამგვარად იწყება:

„ამხანაგ მალენკოვს

ძვირფასო გიორგი!

ჩემთვის ამ ოთხი მძიმე დღეღამის სიგრძეზე საფუძვლიანად გადავხარშე ყველაფერი, რასაც ჩემი მხრიდან ჰქონდა ადგილი ბოლო ოთხ თვეს სკკპ ცკ-ის პლენუმის შემდეგ, როგორც სამუშაოზე, ისე პირადად შენსა და ცკ-ის პრეზიდიუმის ზოგიერთი ამხანაგის მიმართ და საკუთარი თავის მაგრად გაკიცხვით მკაცრად გავაკრიტიკე ჩემი ქმედებანი. განსაკუთრებით მძიმეა და მიუტევებელი შენთან ჩემი მოქცევა, აქ მთელი ასი პროცენტით ვარ დამნაშავე. სხვა ამხანაგების რიცხვში მეც ერთიანად და ენერგიულად შევუდექი მუშაობას იმ ერთადერთი აზრით, რომ ყველაფერი გავაკეთო, რაც შესაძლებელია და რომ ჩვენ ყველანი არ ჩავფლავდეთ უამხანაგსტალინოდ და საქმეებით ამოვუდგეთ მხარში ცკ-ისა და მთავრობის ახალ ხელმძღვანელობას“.

აქ არ ჩანს ვინმეს გულის აჩუყებისა თუ თავის მართლებისკენ სწრაფვა. წერილის დაწერისთვის პირობები, არაკომფორტული რა არის – პირდაპირ საშინელი იყო, თუმცა ვერ იტყვი, რომ იგი ფსიქოლოგიურად მოშლილი ჩანდეს; ეგ კია, რომ სიმშვიდიდანაც შორსაა და ანალიზს აკეთებს, თუ მაინც რა დაუშავა ისეთი ამხანაგებს, რომ უცბად დააპატიმრეს.

და აი, ქვემოთ მოდის რაღაც საგულისყურო:

„ცკ-ისა და მთავრობის არსებულ მითითებათა შესაბამისად, შსს-ისა და მისი ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობის განმტკიცებით, შსს-ომ ცკ-სა და მთავრობაში, შენი რჩევითა და ზოგიერთ საკითხში ამხ. ნ.ს.ხრუშჩოვის რჩევით, შეიტანა რამდენიმე საყურადღებო პოლიტიკური წინადადება, როგორიცაა...“

ოჰო, ნეტავ რას ურჩევდნენ საყურადღებოს ახალ შინაგან საქმეთა მინისტრს ახალი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მალენკოვი და ცკ-ის მდივანი ხრუშჩოვი?

რასა და, აი:

„... როგორიცაა: ექიმების რეაბილიტაციის თაობაზე; ეგრეთ წოდებული საქართველოში მეგრელთა ეროვნული ცენტრის თაობაზე; საქართველოდან უმართებულოდ გადასახლებულთა დაბრუნება; ამნისტიის, საპასპორტო რეჟიმის შესახებ, პარტიის იმ გამრუდებული ხაზის გამოსასწორებლად, რაც დაშვებული იყო დამსჯელ ღონისძიებებში ლიტვის სსრ-ში, დასავლეთ უკრაინაში და დასავლეთ ბელორუსიაში: მაგრამ სავსებით სამართლიანია შენი კრიტიკა, ნ.ს.ხრუშჩოვის კრიტიკა და სხვა ამხანაგების კრიტიკა ცკ-ის პრეზიდიუმზე; ჩემი უკანასკნელი მონაწილეობით...“

ამ სტრიქონებიდან გამომდინარეობს, რომ მაგალითად, „ექიმების საქმეზე“ „რეაბილიტაციათა“ ინიციატივა მოდიოდა, მყარი აზრის მიუხედავად, არა ბერიასგან, არამედ ხრუშჩოვისა და მალენკოვისგან; ხომ არ დაიწყებდა ბერია კოლეგების არარსებული ინიციატივების გამოგონებას თვით ამ კოლეგებისათვის გაგზავნილ წერილში!

მართალია, სინამდვილეში ინიციატივათა ნაწილი უშუალოდ ახალ შინაგან საქმეთა მინისტრს ეკუთვნოდა, მაგრამ ეს სწორედ ის ინიციატივები გახლდათ, რომლებიც ბერიას დახვრეტის მერე სრულად ან ნაწილობრივ იქნა შეხვეული, როგორც „მცდარი“; და ვთქვათ, ეროვნულ პოლიტიკაზე თვით ლავრენტი პავლოვიჩის თვალთახედვით ჩვენ კიდევ გვექნება საუბრის საბაბი.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. სრ. № 138

აი, „ექიმების საქმეზე“ კი ახლავე შევჩერდები, შეგახსენებთ, რომ ის 1952 წელს დაიწყო ლიდია ფედოსეევნა ტიმაშუკის მიერ ჯერ კიდევ 1948 წელს დაწერილი და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში გადაცემული წერილიდან.

1952-ში ლიდა ტიმაშუკი ორმოცდათოთხმეტი წლისა იყო და 1926 წლიდან, სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, კრემლის სამკურნალო-სანიტარიულ სამმართველოში მუშაობდა, ხოლო 1948 წლიდან კრემლის საავადმყოფოს (ეგრეთ წოდებული „კრემლიოვკა“ძ ელექტროკარდიოგრაფიის კაბინეტის გამგე გახლდათ. 1964-ში განყოფილების გამგის თანამდებობიდან პენსიაზე გასული ტიმაშუკი 1983 წელს აღესრულა 85 წლის ასაკში. „დემოკრატები“ ზიზღით წერენ მასზე, როგორც „ექთან ტიმაშუკზე“, მაგრამ ეს, როგორც ვხედავთ, სიცრუეა.




1948 წელს კი მან, გამოცდილმა პრაქტიკოსმა ექიმმა, ანდრეი ანდრეევიჩ ჟდანოვს რომ უღებდა კარდიოგრამას, დასვა დიაგნოზი „მიოკარდის ინფარქტი მარცხენა პარკუჭისა და პარკუჭთაშორისი ძგიდეს არეში“. „კრემლიოვკის“ პროფესორებმა ვინოგრადოვმა, ვასილენკომ და ეგოროვმა, მკურნალმა ექიმმა მაიოროვმა და ექიმ-დიაგნოსტმა კარპაიმ კი განაცხადეს, რომ არაფერი სერიოზული არ მომხდარა.

ჟდანოვს, თუმცა კი მანამდეც „მკურნალობდნენ“ ისე, რომ „მკურნალობა“ თავისთავად იყო დანაშაული, სახელმწიფო თუ არა, საექიმო – ნაღდად! მაგალითად, მაიოროვმა ავადმყოფის მოვლა ექთანს გადააბარა, თვითონ კი საათობით თევზაობდა – ეს ვალდაიში ხდებოდა, სანატორიუმ „გრძელ ფონებში“.

„კრემლიოვკის“ მთავარი თერაპევტი, პროფესორი ვინოგრადოვიც არ გამოიყურებოდა უფრო მიმზიდველად. სიტყვა „თერაპევტი“, საერთოდ რომ ითქვას, ბერძნული „therapeia“-დან წარმოდგება – „ზრუნვა“, „მოვლა“. ჰიპოკრატეს ფიცის ეს რენეგატი ქვეყნის ხელმძღვანელობის ჯანმრთელობაზე ზრუნვის ნაცვლად სხვა რამეზე გადაერთო. ის „ერთდროულად მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის კათედრას უძღვებოდა, იყო ჟურნალ „თერაპევტული არქივის“ მთავარი რედაქტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის თერაპიის ინსტიტუტის ელექტროგრაფიული განყოფილების გამგე“. მე აქ ვსარგებლობ გ.კოსტირჩენკოს წიგნიდან „სტალინის საიდუმლო პოლიტიკა. ძალაუფლება და ანტისემიტიზმი“ აღებული ცნობებით – ებრაული კონგრესის სახსრებით 2001 წელს გამოცემული წიგნიდან.

სადაც კი შეიძლებოდა, შემოსავლების მოხვეჭის აი ამნაირი მოყვარულები განსაზღვრავდნენ კრემლის სამკურნალო-სანიტარიული სამმართველოს იერს! თავად კოსტირჩენკო წერს:

„სახელგანსმენილ კრემლიოვკაში“, როგორც ყველგანაც, არსებობდა „ორგანოების“ შექმნილი საყოველთაო თვალთვალისა და დაბეზღების ატმოსფერო“ – ეს კოსტირჩენკოს სინდისზეა (თუ სინდისი აქვსძ... ისეთ, ვთქვათ, ზერეჟიმის „ობიექტზე“, როგორიც საროვში ატომური საკონსტრუქტორო ბიურო – 11-ია, მსგავსი არაფერი არ ყოფილა; იქ საქმიანი, გულისყურიანი ატმოსფერო სუფევდა, თუმცა დაუდევრობას, რა თქმა უნდა, არ ითმენდნენ.

აი „ურთიერთთავდებობის“ თაობაზე კი საინტერესოა! მორიც მიხელსონის ლექსიკონში „რუსული აზრი და ლაპარაკი. თავისი და სხვისი. რუსული ფრაზეოლოგიის გამოცდილება. ხატოვანი სიტყვებისა და ქარაგმული თქმების კრებული“, სტატიაში „ურთიერთთავდებობა“ მოყვანილია აქ მართებული ციტატა სალტიკოვ-შჩედრინის „პეტერბურგში ჩასული პროვინციალის დღიურიდან“.

„რანაირად შეიქმნა ეს შემწყალებლობის ურთიერთავდებობა – ახსნას ვერ შევუდგები, თუმცა თავდებობა იგი ოდესღაც ერთობ მაგარი გახლდათ, რასაც ყოველი პროვინციალი კვერს დაუკრავს“.

გ.კოსტირჩენკო არ არის პროვინციალი, მაგრამ დახეთ, აგრეთვე ადასტურებს, რომ „კრემლიოვკაში“ გაპროფესორებულ თაღლითთა ურთიერთთავდებობაც მაგარი იყო და შედეგად ტიმაშუკი აიძულეს, რომ დასკვნა გადაეწერა პროფესორის დიაგნოზის შესაბამისად: „ფუნქციური აშლილობა სკლეროზისა და ჰიპერტონული ავადმყოფობის ნიადაგზე“.

კრემლის სამკურნალო-სანიტარიული სამმართველოს უფროსმა, პროფესორმა ეგოროვმა 1948 წლის 28 აგვისტოს ავადმყოფობის ისტორიაში ჩაწერა: „რეკომენდებულია... მეტი ამოძრავება, პირველი სექტემბრიდან ავტომანქანით მგზავრობის ნება დაერთოს, 9 სექტემბერს გადაწყდეს მოსკოვში გამგზავრების საკითხი“.

არადა, ჟდანოვი უფრო ადრე გადაიყვანეს მოსკოვში, იმიტომ, რომ 31 აგვისტოს გარდაიცვალა.

საშინელებაა ექიმის შეცდომა, თუმცა ნებისმიერი ექიმისთვის დასამართი... ოღონდ მოცემულ შემთხვევაში ხომ ყველაფერი სავსებით გამჭვირვალედ იყო – კარდიოგრამა დამაჯერებლად უჩვენებდა ინფარქტს! ეგეც არ იყოს, როგორ შეიძლებოდა ანგარიშგაუწევლობა იმ გამოცდილი პროფესიონალის, ტიმაშუკის დასკვნისა, რომელსაც არ ეკავა, ვინოგრადოვისა და ძმათა მისთა მსგავსად, სარფიან თანამდებობათა წყება, სამაგიეროდ, მთელი სიცოცხლე თავისი პირდაპირი საქმით იყო დაკავებული – ადამიანებს მკურნალობდა!!

ტიმაშუკმა წერილით მიმართა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსს ვლასიკს. 1948 წლის 6 სექტემბერს პროფესორმა ვინოგრადოვმა თავის კაბინეტში მოაწყო თათბირი, სადაც ლიდია ფედოსეევნა დაგმო, ვითარცა უვიცი ექიმი და „უცხო, საშიში“ ადამიანი.

მთელი ამ „თბილი“ კომპანიისთვის ტიმაშუკი მართლაც სახიფათო იყო, როგორც არამზადებისთვის ნებისმიერი პატიოსანი კაცია საშიში; და ეგოროვს მხარი აუბეს ვინოგრადოვმა, მაიოროვმა, კრემლის საავადმყოფოს პათოლოგოანატომმა ფიოდოროვმა, პროფესორმა ვასილენკომ.

ვინოგრადოვი მაშინ ჯერ კიდევ სარგებლობდა სტალინის სრული ნდობით (ის მკურნალობდა ბელადსაც და პოლიტბიუროს სხვა წევრებსაც, სტალინს თეირანშიც ახლდა 1943 წელსძ და მაშინ მოახერხეს ტიმაშუკის წერილის მიფუჩეჩება. ვინოგრადოვმა განუცხადა სსრ კავშირის ჯანდაცვის მინისტრს ე.ი.სმირნოვს: „ან მე ვიმუშავებ კრემლის საავადმყოფოში, ან ის ქალი“.

დასტოვეს, სამწუხაროდ, პროფესორი, ტიმაშუკი კი „კრემლიოვკის“ ერთ-ერთ ფილიალში გადაიყვანეს.

არადა, კრემლის სამკურნალო-სანიტარიულ სამმართველოში ისეთი „ოინები“ თუ „სამკურნალო შეცდომები“ ტრიალებდა, ეს ყველაფერი (უმაღლესი პერსონალის ვითომ მაღალი კვალიფიკაციის გათვალისწინებითძ იმგვარ უცნაურად მასობრივ ხასიათს იძენდა, რომ 1952-ში ტიმაშუკის წერილი არქივიდან ამოიღეს, გაზეთებში გამოაქვეყნეს, თვით ავტორი კი 1953 წლის 21 იანვარს ლენინის ორდენით დააჯილდოვეს.

იმჟამად ლუბიანკაში ისხდნენ პროფესორები ვინოგრადოვი, ეგოროვი, ვასილენკო, ვოვსი, კოგანი, გრინშტეინი, ფელდმანი, ტიომკინი...

1952 წლის 4 ნოემბერს ოპერატიული მუშაკები ვინოგრადოვის ასაყვანად რომ მივიდნენ, „განცვიფრებული დარჩნენ მისი ბინის მდიდრული მოწყობილობით, რაც საშუალო დონის მუზეუმს გაგახსენებდა. პროფესორი უბრალო მოსამსახურის პროვინციული ოჯახიდან გახლდათ (აი თურმე საიდანაა ურთიერთთავდებობის ჩვევაძ, თუმცა ჯერ კიდევ რევოლუციამდე მოასწრო ფრიად შეძლებულ კაცად გახდომა, იპოდრომზე საკუთარი საპრიზო ცხენები ჰყავდა, აგროვებდა ფერწერის, ანტიკვარიატის კოლექციებს. ლეიბ-მედიკოსის საცხოვრებლის კედლებს ამშვენებდა ი.რეპინის, ი.შიშკინის, კ.ბრიულოვისა და სხვა პირველხარისხოვანი რუსი ოსტატების ნახატები. გარდა ამისა, ჩხრეკისას აღმოაჩინეს ოქროს მონეტები, ბრილიანტები, სხვა ძვირფასეულებანი, სოლიდური თანხაც ამერიკულ ვალუტაში“.

ეს ყველაფერი, პატივცემულო მკითხველო, კოსტირჩენკოს წიგნიდან მომყავს, ასე რომ ცნობები, ებრაული კონგრესისგან განაღდებულები, ზუსტია და აქ ანტისემიტიზმის ნასახიც შეუძლებელია იყოს. ჩემით მაინც შევნიშნავ: საწყენია, რომ ამ გაპროფესორებულ ბურჟუას (კოსტირჩენკოს რომ ჰკითხო, „ძველი წრთობის ინტელიგენტს“ძ 1917-ში არ მოუღეს ბოლო...

გაიხედავ და-ჟდანოვიც ცოცხალი იქნებოდა!

და განა მარტო ის!

თარგმნა
**თამაზ ებანოიძემ**

(გაგრძელება იქნება)

ჭიდაობა

# კლასიკური ტრიუმფი

**ორი ოქროს, ერთი ვერცხლის მედალი და გუნდური პირველი ადგილი — ასეთია საქართველოს ჭაბუკ „კლასიკოსთა“ მონაგარი პოლონურ კატოვიცეში დასრულებულ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ევროპის პირველობაზე. ნაკრების მთავარი მწვრთნელის — ვაჟა კრავეიშვილის ხელმძღვანელობით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე რამაზ ზოიძე (46) და ირაკლი შავაძე (60) ავიდნენ, ნიკა გავაშელს (76) კი მესამე ადგილი ერგო.**




ზოიძე ჭაბუკებში შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონი და ევროპის ბრინჯაოს პრიზიორია, ოღონდ 42 კილოში. ამჯერად 46-ში ცდილა ძალებს. ქართველმა მოჭიდავემ ზედიზედ სძლია სომეხ არტურ სიმონიანს, ფინელ მიკო პელტოკანგასსა და თურქ ბათუხან ბოზქურთს, ფინალში აზერბაიჯანელი მიხაილ რახმანოვი დაამარცხა და ოქროს მედალი დაიმსახურა.

შავაძემ პირველ წრეში ბერძენ პანაგიოტის სისმანდისს აჯობა, შემდეგ თურქი აჰმეტ ინიცილი და რუსეთელი რასულ მაგომედოვი ჩამოიცილა გზიდან, ხოლო გადამწყვეტ პაექრობაში სომეხი გეგამ ტორგომიანი დაჯაბნა — 6:1.

გავაშელმა სამ მეტოქეს მშრალი ანგარიშით მოუგო — იტალიელ ჯაკომო გიუფრიდას — 9:0, ხორვატ მარიო მიჰალის — 11:0, უკრაინელ არტიომ სუროვიანგინს — 8:0, ნახევარფინალი კი თურქ ფატიჰ ცენგიზთან დათმო და მე-3 ადგილს დასჯერდა. ჩვენმა ხუთმა მოჭიდავემ მე-5 ადგილი დაიკავა.

**ლექსო ცინცაძე**

ლიცენზიატი

# ვლადიმერ გეგეშიძე

**ჭიდაობის სტაჟიან ქომაგებს, იმედია, ახსოვთ შავტუხა ფალავანი თამაზ გეგეშიძე (ამჟამად ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი), რომელიც არც ხალიჩაზე ინდობდა მეტოქეებს და არც მის გარეთ — „მესამე პერიოდში“. ჭიდაობის სიყვარული მამისგან გამოჰყვა. მისმა შვილებმაც არ უღალატეს ოჯახურ ტრადიციას.** ყველაზე შორს უმცროსი ვაჟი — ვლადიმერ გეგეშიძე წავიდა. ჭაბუკებში ევროპის ორგზის ჩემპიონმა 2010 წელს „ოქროს დიდ პრიზზე“ გაიმარჯვა, საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის მედალოსანმა 2012 წელს ოლეგ კარავაევისა და ნიკოლა პეტროვის საერთაშორისო ტურნირები მოიგო. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის — ოთარ ტატიშვილის



შეგირდმა ყველაზე დიდ წარმატებას მაინც წლეულს ჰელსინკიში მიაღწია — ლონდონის ოლიმპიადის ბოლო სალიცენზიო ტურნირში ყველას აჯობა და ბრიტანეთის დედაქალაქში გამგზავრების უფლება მოიპოვა.

— ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა ნებისმიერი სპორტსმენისთვის ოცნების ასრულებაა. ბედნიერი ვარ, რომ მიზანს მივაღწიე. თუმცა ლონდონში მხოლოდ მონაწილეობას არ დავჯერდები, — ამბობს ვლადიმერ გეგეშიძე. — წლების განმავლობაში ტრავმები მაწუხებდა. ერთს რომ მოვიშუშებდი, მეორე იჩენდა თავს. ოთხი წლის წინათ უნგრელ ზოლტან ფუდორს იოლად ვჯაბნიდი ტურნირებზე. 2008 წლის პეკინის ოლიმპიადაზე მან ვერცხლის მედალი მოიპოვა, მე კი იმ შეჯიბრებას ტელეკრანზე ვუყურებდი. ვფიქრობ, რომ ჩემი დროც მოვიდა.

**— სერიოზული მეტოქეები გეყოლება...**

— 84 კილოში სახელოვანი ფალავნები იბრძოლებენ მედლებისთვის. ფავორიტთა შორის იქნებიან თურქი ვეტერანი ნაზმი ავლუჯა, ბულგარელი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ხრისტო მარინოვი, ბელარუსი ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ალიმ სელიმოვი, ირანელი ჰაბიბულა აკლაგი, ეგვიპტელი ოლიმპიური ჩემპიონი ქარიმ იბრაჰიმი, რომელმაც 96 კილოში ათენის ოლიმპიადის ფინალში ჩვენს რამაზ ნოზაძეს აჯობა. იგი ლონდონში 84 კილოში იჭიდავებს. ასე რომ, ძლიერი მეტოქეები მეყოლება, მაგრამ შეჯიბრებისთვის მეც კარგად ვარ მომზადებული. ფორტუნამ ზურგი თუ არ მაქცია, ლონდონში ხელცარიელი არ უნდა დავრჩე.

**ვაჟა დანელია**

საუნივერსიტეტო სპორტი



# ოქროც, ბრინჯაოც

**ევროპის ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების 2000-მდე სტუდენტი სპორტსმენი მონაწილეობდა კონტინენტის პირველ საუნივერსიტეტო თამაშებში, რომელსაც ესპანურმა კორდობამ უმასპინძლა. საქართველოს სპორტულ ღირსებას ხელბურთში ტექნიკური უნივერსიტეტის, დარბაზის ფეხბურთში კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები იცავდნენ.**

სტუ-ს ხელბურთელებმა ჯგუფში 5 შეხვედრა მოიგეს და პირველი ადგილი დაიკავეს, მეორე ჯგუფიდან საუკეთესო იყო ხორვატული ოსიეკის გუნდი. ფინალური შეხვედრა ქართველებმა 37:24 მოიგეს და ჩემპიონობა მოიპოვეს.

დარბაზის ფეხბურთში თსუ-მ ჯგუფში ოთხი პაექრობა მოიგო, ერთი კი ფინელებთან დათმო, ამის მიუხედავად, მე-2 ადგილი დაიკავა, საბოლოოდ კი ბრინჯაოს მედალი ერგო.

**გივი გაგუა**

რაგბი

# გაისად – მსოფლიოზე

**საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები გაისად მოსკოვში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვა. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც პორტუგალიაში საკვალიფიკაციო ტურნირი დამთავრდა. ჯგუფში ჩვენმა მორაგბეებმა ყველა მეტოქე დაამარცხეს და პირველი ადგილი დაიკავეს. მეოთხედფინალში ქართველებმა უკრაინელებს სძლიეს — 19:12, რითაც ნახევარფინალში გავიდნენ და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურიც მოიპოვეს. დანარჩენი მეოთხედფინალური შეხვედრები ასე დამთავრდა: პორტუგალია — იტალია 28:7, საფრანგეთი — შოტლანდია 26:14, ესპანეთი — გერმანია 31:7.**



ნახევარფინალში ჩვენები მასპინძლებს დაუპირისპირდნენ. არბიტრმა იმდენი მოახერხა, რომ პირენეელების წინააღმდეგ ექვსნი დაგვტოვა. საბოლოოდ პორტუგალიამ 19:12 მოგვიგო. ესპანელებმა ფრანგებს მშრალი ანგარიშით აჯობეს — 24:0. ფინალში მასპინძლებმა მეზობლებს 7:5 სძლიეს და პირველი ადგილი დაიკავეს. ფრანგებმა, რომლებმაც ჯგუფში ქართველებთან 17:33 წააგეს, მე-3 ადგილისთვის პაექრობაში რევანში აიღეს — 24:12. ჩვენს შვიდკაცას მე-4 ადგილი ერგო.

**ლაშა დიდია**



კალათბურთი

# რეფორმამ სულზე მოგვისწრო

**დრამატული ბრძოლებით დაგვირგვინდა 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი, რომელსაც სლოვენიამ უმასპინძლა.**

**ფინალი: ლიტვა — საფრანგეთი 50:49.**

**მატჩი III ადგილისთვის: ესპანეთი — სერბეთი 67:66.**

სამწუხაროდ, დასკვნითი მოვლენები ქართველთა გარეშე განვითარდა. მეტიც, მედლებს ვინ ჩივის, დავით უსტიაშვილის შეგირდებმა ბალკანურ ფორუმზე 9 შეხვედრიდან 8(!) წააგეს და ბოლო ადგილი დაიკავეს.

დებულების თანახმად, ახალგაზრდა „ჯვაროსნები“ გაისად „ბ“ დივიზიონში უნდა დაქვეითებულიყვნენ, მაგრამ, საბედნიეროდ, ფინალური ტურნირის მონაწილეთა რიცხვი 16-დან 20-მდე იზრდება და სწორედ გათამაშების ახალი სისტემის წყალობით შეინარჩუნეს ჩვენმა თანამემამულეებმა ელიტაში ადგილი.




შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა თორნიკე შენგელიას ფანტასტიკური თამაშით გაიმარჯვა მეორე ეშელონის შარშანდელ ბატალიებში, თუმცა ამჯერად თავი შეირცხვინა.

**გიორგი შოთაძე**

ოლიმპიურ ტალღაზე

# გლობალიზაცია და... სპორტული ტანსაცმელი

**ლონდონში ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეებიღა დარჩა, რაც კიდევ უფრო მეტ სიმძაფრეს ანიჭებს ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიურ კომიტეტში აგორებულ სკანდალს.**

ჟურნალისტებმა აღმოაჩინეს, რომ თამაშებზე ამერიკელი ოლიმპიელები... ჩინეთში შეკერილი ფორმებით იასპარეზებენ. იმის გათვალისწინებით, რომ ჩინელები ამერიკელთა მთავარი კონკურენტები არა მარტო მსოფლიო ბაზარზე, არამედ ოლიმპიადა — 2012-ის გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილისთვის ბრძოლაშიც არიან, ცნობას უკიდურესად ნეგატიური საზოგადოებრივი რეზონანსი მოჰყვა. სენატში დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერმა ჰარი რიდმა კი სულაც განაცხადა, რომ სპორტსმენებს ჩინური ტანსაცმელი უნდა ჩამოართვან და... დაწვან.




— ამერიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მხრიდან ეს აღმაშფოთებელი უპასუხისმგებლობაა, — აბობოქრდა განრისხებული სენატორი. — ამერიკელ ოლიმპიელთა ფორმა თავად ამერიკელთა შეკერილი უნდა იყოს, — განაცხადა მან.

ცნობილმა ამერიკელმა დიზაინერმა რალფ ლაურენმა კი, რომელსაც ქვეყნის ოლიმპიურ კომიტეტთან 2020 წლამდე ოორმების შეკერვის კონტრაქტი აქვს გაფორმებული, რომ იტყვიან, თავზე ნაცარი დაიყარა და შეცდომა აღიარა.

— შემდეგ, სოჭი-2014 ოლიმპიადაზე ამერიკელი სპორტსმენები სამამულო წარმოების ფორმებით იასპარეზებენ, — ესაა მოდის კანონმდებლის მიერ დადებული პირობა.

პრესა აღნიშნავს, რომ რალფ ლაურენი თავის სამოსელს ჩინეთში ხშირად აკერინებს, სადაც ის უფრო იაფი უჯდება, თუმცა ხარისხი იგივეა. ისე, კაცმა რომ თქვას, გლობალიზაციის პირობებში ეს გარემოება მაინცდამაინც გასაკვირი არ უნდა იყოს. ამასთან, ჟურნალისტები ყურადღებას იმ გარემოებასაც აქცევენ, რომ თავად ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიური გუნდიც არ არის მთლად ასპროცენტიანად ამერიკული. გუნდის წევრთა უმრავლესობა წარმოშობით აზიელი ან აფრიკელია, თუმცა არსებითად ემიგრანტებით დასახლებული ქვეყნისთვის არც ეს არაა დიდად გასაკვირი.

**ირმა ირემაშვილი**

## დედაქალაქი

**მომავალი წლიდან დედაქალაქის ისეთი დიდი რაიონების გვერდით, როგორიცაა დიდი დიღომი და გლდანი, რომლებსაც უფრო „საძინებლების“ სტატუსი აქვთ და სადაც დაახლოებით 350 ათასი კაცი ცხოვრობს, სახელწოდებით „ახალი თბილისი“ კიდევ ერთი რაიონის მშენებლობა დაიწყება.**

დიღომში, თბილისი მოლის მიმდებარე 230 ჰექტარ ფართობზე გეოლოგიური და წინასწარი ტექნიკური სამუშაოები სრულდება. „ახალი თბილისის“ დამპროექტებელთა გეგმით, პროექტი საბოლოო სახეს მშენებლობის დაწყებიდან 10-15 წელიწადში მიიღებს, უახლოეს მომავალში კი რისტების ინტერესთა უზრუნველყოფაზეც იქნება გათვლილი – დაპროექტებულია საკონფერენციო და საქმიანი შეხვედრების, აგრეთვე საგამოფენო ცენტრების მოწყობა. გარდა ამისა, აქ ასევე განთავსდება ბანკებისა და კომპანიების წარმომადგენლობები, სავაჭრო უბნები და ცალკეული ობიექტები.

**საცხოვრებელ** ზონაში კი დაგეგმილია საშუალო ფენაზე გათვლილი ხუთ და ორსართულიანი საცხოვრებელი სახლების აშენება, რაც, ფონდის წარმომადგენელთა აზრით, მნიშვნელოვნად განტვირთავს თბილისის მჭიდროდ დასახლებულ სხვა რაიონებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ თუ თბილისის ცენტრალურ უბნებში საცხოვრისის ახლანდელ ფასებს გავითვალისწი-

# მომავლის უბანი



პოტენციურ ინვესტორთათვის კონკრეტულ შეთავაზებათა წარდგენა დაიწყება. ჩანაფიქრით, „ახალი თბილისი“ დედაქალაქის მომავალ საქმიან ცენტრად უნდა იქცეს, რომელიც მსოფლიოში ცნობილ „გონივრულ ქალაქთა“ კონცეფციის პრინციპებით, ეკოლოგიური უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით და უახლესი ნანოტექნოლოგიების გამოყენებით აშენდება.

„ახალი თბილისის“ ფონდის ინფორმაციით, ახალი რაიონი ხუთ ძირითად – ადმინისტრაციულ, დიპლომატიურ, კომერციულ-საოფისე, საცხოვრებელ და სარეკრეაციო ზონებად იქნება დაყოფილი. აქედან ა**დმინისტრაციულ** ზონაში ამჟამად დედაქალაქის სხვადასხვა უბანში განთავსებული სახელმწიფო-ადმინისტრაციული უწყებები და სამინისტროები განთავსდებიან, ხოლო მის **დიპლომატიურ** ზონას უცხოეთის ქვეყნების საელჩოები და წარმომადგენლობები დაიკავებენ.

ფონდის შეფასებით, ამჟამად დედაქალაქში ვიზიტორთა დაახლოებით ნახევარი საქმიანი მიზნით ჩამოდის. ამდენად, „ახალი თბილისის“ კომერციულ-საოფისე ზონა შესაბამისად ბიზნეს-ტუნებთ, რომელიც, განსაკუთრებით, პრესტიჟულ რაიონებში საკმაოდ მაღალია, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და „ახალ თბილისში“ გადასვლა ბევრისთვის მიუწვდომელ ოცნებად დარჩება, თუმცა ისიცაა, რომ ახალი რაიონი ასეთ კატეგორიაზე გათვლით არც შენდება.

მეტად მნიშვნელოვანია, ჩვენი აზრით, „ახალი თბილისის“ მშენებლობის დაწყებამდე გათვალისწინებული 90 ჰექტარზე, ანუ მთელი ტერიტორიის 35 პროცენტზე მეტ ფართობზე **სარეკრეაციო** ზონის შექმნა, რომელიც რამდენიმე პატარ-პატარა ტბასა და მდინარე მტკვრის ხეობის ნაწილს მოიცავს. დამპროექტებლები აქ სათანადო ინფრასტრუქტურის – კაფე-რესტორნების, ბულვარების, დასასვენებელი ადგილების მოწყობას გეგმავენ.

ექსპერტთა შეფასებით, „ახალი თბილისი“, რომელიც ქალაქის ცენტრს 12 კილომეტრით იქნება დაშორებული, თავისი კომფორტით, მიმზიდველი გარემოთი და საქმიანი ატმოსფეროთი, საქართველოს დედაქალაქს უფრო მიმზიდველს გახდის როგორც ბიზნესმენებისთვის, ასევე ტურისტებისთვის.

**ოთარ რამიშვილი**



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი

**ნინო ჯავახიშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 24, 25 VII, 17 სთ. მისამართი: სოფიკო ჭიაურელის ქ. №19 (ფიქრის გორა). გამოსვენება 26 VII, 14 სთ. სიონის საკათედრო ტაძრიდან.

---

მარიამ ლორთქიფანიძე, ეთერ ქემერტელიძე, მზექალა შანიძე, გუჩა კვარაცხელია ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბრწყინვალე მეცნიერის, ფართო საზოგადო მოღვაწის, თვალსაჩინო, უკეთილშობილესი ქალბატონის, აკადემიკოს

**ნინო ჯავახიშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს და მთელ სამეცნიერო საზოგადოებრიობას ამ მძიმე დანაკლისის გამო.

---

ა(ა) იპ თსსუ-ის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი მწუხარებით იუწყება გამოჩენილი მეცნიერის და მეცნიერების შესანიშნავი ორგანიზატორის, ღვაწლმოსილი ქალბატონის აკადემიკოს

**ნინო ჯავახიშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

---

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი, კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ქართულმა მედიცინამ განიცადა უმძიმესი დანაკლისი, გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ქართული სამეცნიერო საზოგადოების უბრწყინვალესი წარმომადგენელი, ყველასათვის სათაყვანებელი ქალბატონი, აკადემიკოსი

**ნინო ჯავახიშვლი**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ზურაბ ლომიძე გულისტკივილით თანაუგრძნობს თამრიკო, კუკური კაჭახიძეებს ძმისა და ცოლისძმის, უკეთილშობილესი პიროვნების

**ასლან ხაბაზის**

გარდაცვალების გამო.

---

ნოდარ შენგელია, ოთარ ჭითანავა, ანზორ შონია, ჩიტო, ჯემალ კვირტიები, ლერი ჭითანავა, ნუგზარ იზორია უსამძიმრებენ ბატონ ანზორ ქუჩულორიას მეუღლის

**ალბინა კაჭარავას**

გარდაცვალების გამო.

---



მეუღლე ემზარ კვიტაიშვილი, შვილები ბაქარ კვიტაიშვილი, გიორგი გაგნიძე, ნინო კვიტაიშვილი, ლუკა სურგულაძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ელენე გალაქტიონის ასული ცაგარეიშვილი**

მისამართი: გ. ახვლედიანის ქ. 13, გამოსვენება 24. VII. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიიდან (ვერის ბაღთან) 14 სთ.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს თვალსაჩინო პოეტსა და მწერალს, უგულითადეს ადამიანს, ჩვენი გაზეთის ძველ მეგობარსა და ავტორს ბატონ ემზარ კვიტაიშვილს მეუღლის

**ელენე ცაგარეიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---



სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება ფინანსური დირექტორის

**ლია ერქომაიშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

## ინფორმაცია

### ტრაგედია მეტროსადგურ „სამგორში“

**შემთხვევა კვირა ღამით მოხდა. გარდაცვლილი 50 წლის ფრიდონ ჯანჯღავაა. თვითმკვლელობის ფაქტს მგზავრებიც შეესწრნენ. მომხდარის გამო მეტროსადგურში მატარებლების მოძრაობა გარკვეული პერიოდი პარალიზებული იყო.**

**ქართული ტელეკომპანიების ინფორმაციით, ოჯახის ახლობლები აცხადებენ, რომ ფრიდონ ჯანჯღავას დასთან ვინმე სოფო ბუკია მივიდა, რომელიც პარტია „თავისუფალი საქართველოს“ წევრად გაეცნო. მან ჯანჯღავებს ბინა ბანკში ჩაადებინა, ფული მიითვისა და მიიმალა.**

**მეტროსადგურში მომხდარ ტრაგედიას ოჯახის ახლობლები სწორედ ამ ფაქტს უკავშირებენ.**

**– 15 ათასი ვალი აალებინა ვინმე ბუკიამ, რომელიც ძებნაშია და ის კახა კუკავას პარტია „თავისუფალი საქართველოს“ წევრია, – აცხადებენ ოჯახის ახლობლები.**

**პარტია „თავისუფალი საქართველო“ კატეგორიულად უარყოფს ამ ფაქტს და მიმართავს სამართალდამცავ უწყებებს, დაუყოვნებლივ გამოიძიონ აღნიშნული საქმე და დაისაჯონ თაღლითური სქემის ავტორები.**

ინტერპრესნიუსი

## „სად წაიყვან სადაურსა“

წიგნიდან „100 ქართველი უცხოეთში“

# გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისძენი (XI საუკუნე)

**გრიგოლ ბაკურიანისძე**

**XI საუკუნის ბიზანტიის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, იმპერიის აღმოსავლეთის ჯარებისა და მერე დასავლეთის ჯარების დომესტიკოსი (მაღალი სამხედრო თანამდებობა ბიზანტიაში). ფლობდა სევასტოსის ტიტულს (მაღალი წარჩინების ნიშანი ბიზანტიაში).**



გრიგოლი გახლდათ ბაკურიანის ერისთავთერისთავის ძე, რომლის სამშობლო ამიერ ტაო, დავით III დიდი კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ, ბიზანტიის პოლიტიკურ საზღვრებში მოექცა. სხვადასხვა დროს მსახურობდა სომხეთში, იბერიასა (ტაოსაძ და სირიაში; იყო კარისა (ყარსისძ და თეოდოსიოპოლის გამგებელი.

მისი მონაწილეობით მოხდა 1081 წელს გადატრიალება ბიზანტიის საიმპერატორო კარზე, რის შედეგადაც დაემხო ნიკიფორე III ბოტანიატე და ტახტი დაიკავა ალექსი I-მა კომნენოსმა.

ორი წლის შემდეგ გრიგოლ ბაკურიანისძემ დააარსა ქართველთა მონასტერი პეტრიწონში (ბაჩკოვო, ბულგარეთიძ – პეტრიწონის მონასტერი, რომელსაც ძმის, აბაზ ბაკურიანისძის ანდერძის თანახმად დაუმკვიდრა აბაზის კუთვნილი დიდძალი უძრავმოძრავი ქონება. ეს მონასტერი იქცა შუა საუკუნეების ცნობილ კულტურულ-საგანმანათლებლო კერად – პეტრიწონის აკადემიად, სადაც მწიგნობრულ საქმიანობას თითქმის 20 წლის სიგრძეზე უძღვებოდა იოანე პეტრიწი. გრიგოლ ბაკურიანისძემ შეუდგინა მონასტერს წესდება, „ტიპიკონად“ წოდებული.

დაიღუპა პაჭანიკებთან ბრძოლაში 1086 წელს; დაბადების თარიღი უცნობია. დაკრძალულია მონასტრის საძვალეში.

**აბაზ ბაკურიანისძე**

**ბიზანტიის იმპერიის მაგისტროსი, გრიგოლ ბაკურიანისძის ძმა. მსახურობდა სხვადასხვა პროვინციაში.**

დიდძალი ქონება უანდერძა პეტრიწონის ქართველთა მონასტერს, რომლის ქტიტორად (მამასახლისადძ ითვლებოდა. დიდად ზრუნავდა ათონის ივერთა მონასტრის ქონებრივ კეთილდღეობაზე, დაბადება-გარდაცვალების თარიღები უცნობია.

მოამზადა
**თამაზ ებანოიძემ**

ტესტი

# როგორ დავისვენოთ ცხელ ზაფხულში?

**გაიარეთ ტესტი და გაიგეთ, შეგიძლიათ თუ არა მოიწყოთ თქვენი დასვენების დღეები და როგორ გაატაროთ უკეთ შვებულება**

**1. დასვენების დროს გირჩევნიათ იყოთ:**
ა) კარავში – 2;
ბ) სასტუმროში – 3;
გ) არა აქვს მნიშვნელობა სად, მთავარია ვისთან – 1.

**2. დასვენება უფრო მეტად გიყვართ:**
ა) მხიარულ კამპანიაში – 1;
ბ) კარგად ნაცნობი ადამიანების წრეში – 2;
გ) განმარტოებით – 3.

**3. ამ გამონათქვამებიდან რომელია თქვენთვის ყველაზე მახლობელი:**
ა) „ის, ვინც იცის დასვენება, სჯობია იმათ, ვინც ქალაქებს იპყრობს“ – 1;
ბ) „ადამიანი ისეა გაჩენილი, რომ ის ერთი სამუშაოსგან მაშინ ისვენებს, როცა მეორეს იწყებს“ – 3;
გ) „ზოგიერთი დასვენება სამუშაოზე მეტად გღლის“ – 2.



**4. მარდი ბრძანდებით?**
ა) დიახ, ყოველთვის მზად ვარ, სადმე გავარდე – 1;
ბ) უფრო კი, ვიდრე არა – 2;
გ) არა – 3.

**5. რა არის თქვენთვის ჯანსაღი დასვენება?**
ა) ქალაქგარეთ ყოფნა ბუნებაში ან ბაღის ნაკვეთში – 2;
ბ) ლაშქრობები, ცურვა მთის მდინარეებში, მოგზაურობა ავტოსტოპით – 1;
გ) ტახტზე წოლა და სპორტული ტელეპროგრამების ან სერიალების ყურება – 37.

**6. ყოველთვის სრულად იყენებთ თქვენს შვებულებას?**
ა) ვითარების მიხედვით, ყოველთვის არ გამოგდის, რაც გინდა – 2;
ბ) ჩვეულებრივად, კი – 1;
გ) ყოველთვის არა – 3.

**7. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ რაღაც საქმეზე სხვა ქალაქში აღმოჩნდით, სადაც არასოდეს ყოფილხართ. როგორ გაატარებთ თავისუფალ დროს?**
ა) გავეცნობი ადგილობრივ ღირსშესანიშნაობებს – 1;
ბ) ბუნებაში – 2;
გ) სასტუმროში ტელევიზორთან – 3.

**8. მიგაჩნიათ, რომ ზაფხული დასვენების საუკეთესო დროა?**
ა) დიახ, ზაფხული – ეს არის მზე, ზღვა, ხილი – 2;
ბ) დასვენებისთვის ყველა დრო კარგია – 1;
გ) არა, არ მიყვარს სიცხე – 3.

**9. თქვენი აზრით, დასვენება უნდა შეიცავდეს:**
ა) სასიამოვნოს სასარგებლოსთან ერთად – 3;
ბ) სასიამოვნოს ამაღელვებელთან ერთად – 2;
გ) უსარგებლოს მოდუნებასთან ერთად – 1.

**10. თქვენ კომპანიასთან ერთად ხართ ბუნებაში, ამინდი უიმედოდ გაფუჭდა, ამ დროს რომელი სიმღერა იქნებოდა თქვენთვის შესაბამისი?**
ა) „ყაყაჩო აყვავებულა“ – 3;
ბ) „ბუნებას არ აქვს ცუდი ამინდი“ (რუსული სიმღერაძ – 2;
გ) „ახ, ნეტავი ერთად იყოს წაღვერი და თბილისი“ – 1.

## შეკრიბეთ ქულები და გააკეთეთ დასკვნა

**24-30 ქულა.** ყოველთვის ვერ ახერხებთ თქვენი დასვენების გამრავალფეროვნებას, და სავსებით დასაშვებია, რომ ძალიან კარგად არც იცით დასვენება. თუ ცოტა ხნით დაივიწყებთ თქვენ საქმეებს, ამით ქვეყანა არ დაიქცევა. სიბრძნე გვიკარნახებს: კაცი, რომელიც არ ზრუნავს თავისი დასვენებისთვის, იმ ხელოსანს ჰგავს, რომელიც ვერ იცლის თავისი ხელსაწყოების მოსავლელად. ზაფხული მალე გავა! დაამთავრეთ საქმეები და – ჰაიდა, კურორტისკენ!

**17-23 ქულა.** თქვენ გაქვთ უნარი, დაისვენოთ გემოვნებით. თქვენ, როგორც ჩანს, უპირატესობას რომანტიკულ დასვენებას ანიჭებთ და არა ზედმეტად აქტიურ და ექსტრემალურს. მწვადები ბუნებაში, სოკოს შეგროვება, საუბარი გიტარის თანხლებით კოცონთან... ნუ ეტყვით თავს უარს კმაყოფილებაზე და ნუ გადადებთ შორს დასვენებას, ზაფხულობით გატარებული დრო ხომ გასული წლების ანგარიშში არ შედის.

**10-16 ქულა.** თქვენ, ალბათ, ძალიან უფრთხილდებით ყოველ თავისუფალ კაპიკს. შეგიძლიათ მონახოთ გართობა, რაც გულს სიამოვნებს, გაირთოთ თავი, გადასცეთ საკუთარი ენერგია გარშემომყოფებსაც. სადაც უნდა წახვიდეთ, შვებულება გპირდებათ, რომ იქნება ნათელი და დასამახსოვრებელი.

ჩვენი პრესდაიჯესტი

## გუშინდელი გაზეთებიდან



### ვაცხადებ ხმამაღლა: მოსკოვმა ფსონი ვანო მერაბიშვილზე დადო!

– აცხადებს კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა, – იქნება მცდელობა სახელმწიფო გადატრიალებისა! დიახ, ან ახალაია-სააკაშვილის ჯგუფი მოინდომებს მერაბიშვილის განეიტრალებას, ან მერაბიშვილის ჯგუფი დაასწრებს და გაანეიტრალებს სააკაშვილის დაჯგუფებას! როგორც შენ გიყურებ, ისე ვიცი! დიახ, ეს ასე იქნება!

„ასავალ-დასავალი“.

### ხელისუფლებამ ბანკებს მოქალაქეებისთვის ფულის წართმევა უბრძანა

თქვენს ანგარიშზე ჩარიცხული ფული შესაძლოა, ხელისუფლებამ წაგართვათ!!! ეს არ არის ჭორის დონეზე გავრცელებული ინფორმაცია. ეს არის ფაქტი, რომელსაც ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისთვის გაგზავნილი მითითება ამყარებს. დანარჩენი წაიკითხეთ გაზეთში –

„ქრონიკა“.

### „მივმართავ ოპოზიციას, არჩევნებს ბოიკოტი გამოვუცხადოთ!“

ლეიბორისტი სოსო შატბერაშვილი ეჭვის თვალით უყურებს იმ განცხადებებს, რომ რეგიონებში სიტუაცია გადატეხილია და სააკაშვილმა მხარდამჭერები დაკარგა. შატბერაშვილის თქმით, სისულელეა იმის განცხადება, რომ სააკაშვილს სამეგრელოს იმედი აღარ აქვს, ქვემო ქართლი სრულიად სახელისუფლოა და ჯავახეთი საერთოდ აფანატებს სააკაშვილზე.

– ივანიშვილს ხელები შეუბორკეს, ანუ ძალოვნების მეშვეობით გადაუკეტეს ფულის ხარჯვის საშუალება, სამაგიეროდ ამომრჩევლების მოსყიდვას იოლად ახერხებენ ნაციონალები.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ივანიშვილი აპირებს ხალხის დაძახებას ქუჩაში და არჩევნების შემდგომ პარლამენტის ბოიკოტირებას. ჩვენ მზად ვართ მას დაველაპარაკოთ.

„ახალი თაობა“.

### თვითმკვლელობა დევნილთა დასახლებაში

თბილისში აღმაშენებლის ხეივნის მე-3 კილომეტრზე არსებული დევნილთა საერთო საცხოვრებლის მკვიდრმა 81 წლის ვასილ ბერელიძემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. იგი გაუსაძლისი ტკივილების გამო თავშესაფრის მე-4 სართულიდან გადმოხტა.

„მამა ამაყი იყო, სხვისი მოსავლელი არ უნდოდა ყოფილიყო და არც ჩვენი შეწუხება უნდოდა თავისი ავადმყოფობით“ – ამბობს გარდაცვლილის ვაჟი. 81 წლის ვასილ ბერელიძე აფხაზეთიდან, გაგრიდან დევნილი იყო, ის 20 წელია, რაც თბილისში, თავშესაფარში 12 კვ. მეტრ ბინაში ცხოვრობდა. რა თქმა უნდა, მოხუცს პენსია და სახელმწიფო დახმარება არ ჰყოფნიდა საარსებოდ და სამკურნალოდ.

„რეზონანსი“.

### ზონდერები ბასიშვილისა და მერაბიშვილის სადღეგრძელოს უკვე მუხლმოყრილი სვამენ

ამას წინათ გორელებმა გაამხილეს, რომ ზონდერების ძალაუფლება უკვე პოლიციისას გასცდა და საქმე იქამდეა მისული, გორში პატრულის თანამშრომელს ზონდერმა ყველას თვალწინ მიაყენა შეურაცხყოფა და ხახვივით შერჩა... პატრული გაფრთხილებულია, ზონდერის მანქანა არ გააჩეროს... კარალეთში ქვის სროლა წინასწარ დაგეგმეს. შეიკრიბნენ ანრი ჟოლოხაძე (კობა სუბელიანის ყოფილი მოადგილეძ, ბადრი ბასიშვილი, გია ქრისტესაშვილი და გიორგი მახნიაშვილი (ერედვის გამგებელიძ და „ნივა“ გაავსებინეს ქვით ჩასახლების მამასახლისებს.

„კვირის პალიტრა“.

ანეკდოტები

**ოჯახში** ჩემს ნაცვლად ყველაფერს ცოლი წყვეტს; სამსახურში – უფროსი; ქვეყანაში – პრეზიდენტი. მაგრამ მაინც არის დედამიწაზე ერთი ადგილი, სადაც ყველაფერს მხოლოდ მე ვწყვეტ! – ეს არის კროსვორდი...

* * *

**ავტობუსის** გაჩერებაზე სოფლელი მოხუცებული ქალი დგას, ფეხებთან ბოხჩა უდევს, ხელში ტელეფონი უჭირავს და აცახცახებული თითებით აწვალებს ღილაკს.

გვერდით ახალგაზრდამ ჩაუარა.

– შვილო, თუ ღმერთი გწამს, მესიჯი გამაგზავნინე!

– კი, ბებო, ოღონდ მიკარნახე, რა დავწერო?

– დაწერე, შვილო: „ნაძირალავ, ნუ მეძებ! დედაჩემთან ვარ!“

* * *

**ქმარმა** ყვავილები მაჩუქა. ახლა ვფიქრობ, ან მე ვიქცეოდი კარგად, ან ქმარი – ცუდად.

* * *

– **ძვირფასო**, გუშინ არაფრის გამო ვიჩხუბეთ, არ იყავი მართალი – შენ ჩემთვის ყველაზე საყვარელი ქალი ხარ.



– აჰა, ასეც ვიცოდი, რომ შენთვის ერთადერთი ქალი არ ვიყავი!

* * *

**ეკონომიკურ** კრიზისში მყოფ მოშეს დუქანი დაუკეტავს, კარზე კი აბრა ჰკიდია წარწერით: „დაკეტილია გარდაცვალების გამო“.

– ძალიან ვწუხვარ, ვინ გარდაგეცვალა? – თანაგრძნობით ეკითხება იცხაკი.

– კლიენტურა!

* * *

**ჩვენი** მზარეულები მოქმედებენ პრინციპით: „საინტერესოა, ამას ჩახეთქავენ ის ოხრები?“

* * *

**მიხო**, რამდენად შეიძლება ქილერის დაქირავება?

– რად გინდა, კაცო?!

– რად და, ნიკამ დამირეკა ღამის სამ საათზე და – გძინავსო, მკითხა. – ჰო-მეთქი. მან კი მიპასუხა, – მაპატიე, ერთ საათში გადმოგირეკავო. გადმომირეკა კიდეც იმ ნაძირალამ.

* * *

**ყველაფერი**, რაც ფილოლოგმა ნიკამ სექსზე იცის, ეს სიტყვა „სექსის“ ეტიმოლოგიაა.

კადრი



**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24